პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ და ტფ კომიტეტების და ცაკი ორგანო

ფასი 10 კაპ.

ორშაბათი, 28 ოქტომბერი 1935 წ.
№ 251 4407

დღეს ნომერშია:
— მთავარია ხარისხი! (მეთაური).
— საუბარი ამხანაგ სტალინის დედასთან.
— ი. ქვანია — ქართლის რაიონები გეგმებისათვის ბრძოლაში.
პიერ ვორმსი პარიზის მხატვრული სკოლა.
— ს. ეული — დედის ნახვა.
— მ. ბაჟანი — კიროვი
— ბარომეტრი ქარიშხალს უჩვენებს („პრავდა").
— საერთაშორისო თემაზე — იაპონიის „ახალი" პოლიტიკა ჩინეთში.
— იტალია - აბისინიის ომის ქრონიკა.
იტალიის წინადადებანი ნეგუსს.
— იტალიის სულისკვეთება.

მთავარია ხარისხი!

ჩვენი ქვეყნის გმირულმა მუშათა კლასმა, სახელოვანი ლენინურ-სტალინური პარტიის ხელმძღვანელობით, შექმნა მძიმე ინდუსტრია, სოციალიზმის ეს მტკიცე მატერიალური ბაზა.

კაპიტალიზმის აგენტები საბჭოთა კავშირში— კონდრატიევი, ჩაიანოვი, ჩელინცევი, გრომანი, ბაზაროვი, შეერი და სხვები სთხზავდნენ ეგრედწოდებულ „მქრობადი მრუდის თეორიას", რომლის „ძალითაც" ჩვენი სახალხო მეურნეობა მთლიანად, კერძოდ სოციალისტური მრეწველობა, სულ ახლო ხანში განვითარების დაღმავალი გზით უნდა წასულიყო.

პროლეტარიატის დიქტატურის რევოლუციურმა პრაქტიკამ, ცოცხალმა საბჭოთა სინამდვილემ ეს ბურჟუაზიულ - კონტრრევოლუციური თეორია გაანადგურა, დაამსხვრია, ნაცარტუტად აქცია. ისტორიული ფაქტია, რომ საბჭოთა კავშირში სოციალიზმმა გაიმარჯვა საბოლოოდ. ჩვენი კლასობრივი მტრებიც კი იძულებული არიან აღიარონ ეს, რადგან, როგორც მოსწრებულად შენიშნავენ ხოლმე, ფაქტი მეტად ჯიუტია.

მეცნიერული სოციალიზმის ფუნდამენტის განმტკიცებამ, სოციალისტური მინდვრების ბრწყინვალე გამარჯვებამ, სახალხო შემოსავლისა და სოციალისტური სიმდიდრის ნაკადულთა ძლიერმა ჩქეფამ დიდად გაზარდა სოციალიზმის მშენებელი ადამიანის კულტურულ საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებანი. მშრომელთა არსებობის პირობები დღითიდღე უმჯობესდება, სოციალისტურმა წარმოებამ გააძლიერა მიწოდება. ამავე დროს ძლიერ გაიზარდა მშრომელთა მოთხოვნაც. მიწოდება ზრდის მოთხოვნას, მაგრამ მოთხოვნაც გავლენას ახდენს მიწოდებაზე. ასეთია ჩვენი შინაარსიანი, მდიდარი, ლამაზი სინამდვილის ცოცხალი დიალექტიკა.

საბჭოთა მუშას, კოლმეურნეს, მოსამსახურეს, მშრომელ ახალგაზრდობას აქვთ ძლიერი შინაგანი იმპულსი იცხოვრონ კულტურულად, შნოიანად, ლაზათიანად, ეცვათ და ეხუროთ ლამაზად, მიმზიდველად, სუფთად. ატარონ კარგი ხარისხის ფეხსაცმელი, ტანსაცმელი, ჰქონდეთ მხატვრული გემოვნების შინაოჯახური მოხმარების ნივთები.

ჩვენ ვალდებული ვართ ყველა მშრომელთა ეს სამართლიანი მოთხოვნები დავაკმაყოფილოთ, დავაკმაყოფილოთ თავის დროზე და მთლიანად. ჩვენ აღარ განვიცდით მსუბუქი მრეწველობის პროდუქტების შიმშილს, ეს პროდუქტები საკმაო რაოდენობით გვაქვს. სავსეა საბჭოთა მაღაზიების თაროები, ძლიერია საქონელბრუნვაც, მაგრამ როგორია იმ პროდუქციის ხარისხი, რასაც ჩვენი ფაბრიკები იძლევიან? უნდა ითქვას, იგი ჯერ კიდევ საერთოდ დამაკმაყოფილებელი არ არის.

პროდუქციის რაოდენობით მაჩვენებლებს, სამწუხაროდ, ჩამორჩება მისი ხარისხობრივი მაჩვენებლები. ხარისხი კი მთავარი, წამყვანი, განმსაზღვრელია. რაოდენობა, თუ ხარისხიც სათანადო არ არის, ასევე ხარისხიც, თუ რაოდენობა სათანადო არ არის დღეს აშკარად მიუღებელია. რაოდენობისა და ხარისხის მთლიანობა აუცილებელი კანონია. იქ, სადაც დარღვეულია ეს კანონი, არ არსებობს არც კარგი მუშაობა, გეგმის ნამდვილად შესრულება, ბოლშევიკური მუშაობის ნიმუში. პროდუქციის მაღალი ხარისხისათვის. საბჭოთა საქონლის მაღალი ღირსებისათვის ბრძოლა ჩვენი სოციალისტური წარმოების სერიოზულ პოლიტიკურ სამეურნეო ამოცანას შეადგენს.

ბევრს ჩვენს სამეურნეო და პარტიულ მუშაკს დღემდე ვერ შეუგნია, რომ საბჭოთა მომხმარებელი ნაოჭებიან ფეხსაცმელს არ იყიდის, დაჭმუჭნულ ხალათს არ აიღებს, წუნდებულ პროდუქციას არ შეიძენს. ის კარგად გამოყვანილი ტანისამოსის, კარგად შეკერილი ფეხსაცმელის, კარგი ხარისხის საქონლის პატრიოტია. მას აქვს შეძლება, ძლიერი მოთხოვნილება, მდიდარი გემოვნება. შეძლებული ცხოვრება ჩვენს წინაშე ახალ და ახალ გაზრდილ მოთხოვნებს აყენებს.

საბჭოთა მომხმარებლის სამართლიანი მოთხოვნების თავის დროზე და კეთილსინდისიერად შესრულება უაღრესად საპატიო და სახახელო საქმეა ჩვენი სამეურნეო, პარტიული და პროფესიული ორგანიზაციებისათვის.

ჩვენი ფაბრიკები შეიარაღებულია მოწინავე ტექნიკით, მათ აქვთ ნედლეული, ჰყავთ დამკვრელები, სტახანოველები, მაგრამ მაინც გრძელდება წუნდებული პროდუქციის გამოშვება. დიდია არახარისხოვანი პროდუქციის რაოდენობაც მთელ რიგ ფაბრიკებში საწარმოო გეგმები რაოდენობრივად სრულდება, მაგრამ პროდუქციის თვისობრივ მაჩვენებლებს დღემდე ვერ მოუპოვებია საპატიო ადგილი.

ამით იბოჭება საბჭოთა მომხმარებლის სურვილი, მისი გაზრდილი მოთხოვნილება, რადგან მას ხშირად ვაწოდებთ არამაღალი ხარისხის პროდუქციას.

საფეიქრო სატრიკოტაჟო მრეწველობამ 9 თვის გეგმა შეასრულა 103.8 პროც., მაგრამ პროდუქციის ხარისხის დაუცველად. 9 თვეში პირველი ხარისხის ჩულქები და წინდები გამოშვებულია 50,9 პროც., ნაცვლად 60,4 პროც. პირველი წუნი 3 პროცენტის ნაცვლად 17,1 პროც. შეადგენს. აბრეშუმის ჩულქებზე პირველი წუნი, გეგმით გათვალისწინებული 12 პროც. ნაცვლად, 26 პროცენტამდე აღწევს. წუნის ზრდის ტენდენციას იძლევა ტფილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკაც 9 თვეში კამვოლურ ქსოვილებზე წუნი 1 პროც. ნაცვლად შეადგენს 2,8 პროც. მაუდის ქსოვილებზე — 6,8 პროც. 0,6 პროც. ნაცვლად.

ტფილისის აბრეშუმის ფაბრიკაში უკანასკნელ ხანებში ძლიერ გაიზარდა არაკონდიციური პროდუქციის გამოშვება.

რაში უნდა ვეძებოთ წუნის მიზეზი? პირველ ყოვლისა მუშათა დაბალ კვალიფიკაციაში, სამუშაოსადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებაში, ნედლეულის დაბალ ხარისხში, შრომის ცუდ ორგანიზაციაში, მოკლედ სუსტ სამეურნეო ხელმძღვანელობაში. ნედლეულის მიმწოდებელი ორგანიზაციები ხშირად სრულ უპასუხისმგებლობას იჩენენ კარგი ხარისხის ნახევარფაბრიკატების დამზადებაში. ამიტომ არის, რომ ეს ფაბრიკები ხშირად დაბალი ხარისხის პროდუქციას გვაძლევენ.

ჩვენს საწარმოებში განა ცოტა მოიპოვება მოღაურები, რომლებიც თათბირებზე ლავაშ-ლავაშ სიტყვებით გამოდიან და ლაყბობენ კარგი მდგომარეობა გვაქვს, წუნი მოვსპეთო. ნამდვილად კი ეს ხალხი მხოლოდ სიტყვების ბუშტებით და კორიანტელით „იბრძვის" პროდუქციის მაღალი ხარისხისათვის.

წუნის მოსპობა, მაღალი ხარისხის პროდუქციის მიღწევა შეიძლება მხოლოდ მუშათა ოსტატობის ამაღლებით, ტექნიკის ბოლშევიკურად დაუფლებით, მანქანების სრულ წესრიგში მოყვანით, შრომის მაღალი ნაყოფიერების ინიციატორების — სტახანოველ - ბუსიგინელების, სმეტანინელ-ვინოგრადოველების აღზრდით და გამრავლებით. აქ მთავარია ხელმძღვანელობა!

„გავაუმჯობესოთ გამოშვებული საქონლის ხარისხი, შევწყვიტოთ არაკომპლექტური პროდუქციის გამოშვება და დავსაჯოთ ყველა ის ამხანაგი, პიროვნების მიუხედავად, რომელიც არღვევს ან გვერდს უვლის საბჭოთა ხელისუფლების კანონებს პროდუქციის ხარისხის და კომპლექტიანობის შესახებ" — ასეთია ხალხის დიდი ბელადის — ამხ. სტალინის მითითება.

ეს მითითება წარმოადგენს სოციალისტური ფაბრიკის, ქარხნის, საკოლმეურნეო მინდვრის ნაყოფიერი, მაღალხარისხოვანი მუშაობის ურყევ კანონს. ეს უნდა შეიგნოს ყველამ, ვის ხელშიც არის საბჭოთა მომხმარებლის მრავალმხრივ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების საპატიო საქმე.

ოქტომბრის გეგმა გადაჭარბებით შევასრულეთ

ბორჩალოს რაიონმა 25 ოქტომბრისათვის თამბაქოს დამზადების ოქტომბრის გეგმა 102 პროცენტით შეასრულა.

კოლმეურნეობებში დამზადებულია 16400 კილოგრამი თამბაქო, ხოლო ერთპიროვნულ მეურნეობებში — 24500.

საქ. კ.პ. (ბ) ბორჩალოს რაიკომის მდივანი **ცეხაძე**

თამბაქნედლეული — **ბუკასოვი**

□ □ □

კოლმეურნეობა მილიონერი

ქ. მახარაძე (საქ. კორ.) გურიანთის ამხ. მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის შემოსავალი წელს გადააჭარბებს ერთ მილიონ მანეთს. სახელმწიფოსათვის ჩაბარებულ მხოლოდ ჩაის ფოთოლში კოლმეურნეობამ მიიღო 800 ათასი მანეთი. ჯერ კიდევ მისაღები აქვს შემოსავალი ციტრუსებიდან. კარგი მოსავალი მისცა კოლმეურნეობას სიმინდის, ბრინჯის და სოიას ნათესებმა. შრომადღეზე კოლმეურნეობაში მოდის 12 კილო ხორბლეული და ლობიო, ხოლო ფულად (თვითეულ შრომადღეზე) შეადგენს არა ნაკლებ 7 მანეთისა. შარშან კოლმეურნეებმა შრომადღეზე მიიღეს 8 კილოგრამი პროდუქტი და 2 მანეთი ფულად.

კოლმეურნეებმა ა. გიორგაძემ გამომუშავებულ შრომადღეებში მიიღო ავანსად 8 ათასი მანეთი. დამკვრელ კოლმეურნეთა მე-2 საკავშირო ყრილობის დელეგატმა ელენე აროშიძემ და კოლმეურნე პელაგია დარჩიამ პროდუქტებს გარდა მიიღეს ხუთ-ხუთი ათასი მანეთი თითომ.

□ □ □

მოკრეფილია 360.000 ცალი მანდარინი

ბათომი, 26 ოქტომბერი. (ტელეფონით საქ. კორ.) აჭარისტანში ამ ორი დღის განმავლობაში მოიკრიფა 360 ათასი ცალი მანდარინი. აქედან მესამე საბჭოთა მეურნეობას მოკრეფილი აქვს 140 ათასი მანდარინი, მეორე საბჭოთა მეურნეობას —210 ათასი და პირველი საბჭოთა მეურნეობის ამხ. ხარატის ბრიგადას —10.000 ცალი.

1 ნოემბრიდან ყოველდღიურად მოიკრიფება 2 მილიონზე მეტი მანდარინი.

აჭარისტანი წელს სახელმწიფოს ჩააბარებს 130 მილიონ მანდარინს.

იტალია-აბისინიის ომის ქრონიკა

იტალიის წინადადებანი ნეგუსს

ლონდონი, 26 ოქტომბერი. „დეილი ექსპრესის" ადის-აბებელი კორესპონდენტის სიტყვით, უცხოეთის საელჩოებმა თავიანთ მთავრობებს აცნობეს, რომ იტალიამ წინადადება მისცა ნეგუსს დასთანხმდეს უშუალო მოლაპარაკებას რომთან (ადს).

ჟენევა, 26 ოქტომბერი. როგორც სარწმუნო წყაროებიდან გადმოგვცემენ, „ტაიმსის" პარიზელი კორესპონდენტის ცნობა იტალიის ახალ წინადადებათა შესახებ ძირითადად სინამდვილეს შეეფერება. ეს წინადადებანია:

1) ტიგრეს პროვინციაზე დაწესდება იტალიის სუვერენიტეტი,

2) ერთა ლიგა ხარარისა და ოგადენის პროვინციათა მართვაგამგეობის მანდატს იტალიას გადასცემს,

3) ეგრეთწოდებული საკუთრივ აბისინია დაუქვემდებარდება ხუთთა კომიტეტის წინადადებებით გათვალისწინებულ რეჟიმს;

4) აბისინიის მოსახლეობა განიარაღდება და შეიქმნება მცირე რეგულარული არმია, რომელსაც კონტროლი გაეწევა და

5) საკუთრივ აბისინიას მიეცემა ზღვაზე გასასვლელი ერიტრეის ნავთსადგურ ასაბში (ადს).

ლონდონი, 25 ოქტომბერი. ინგლისის დეპეშათა სააგენტოების ადის-აბებელი კორესპონდენტების გადმოცემით, აბისინიის მთავრობა უარს იტყვის გამართოს მოლაპარაკება ზავის ჩამოსაგდებად იმ პირობების საფუძველზე, რომლებსაც ახლა აყენებენ. აღნიშნავენ, რომ თუმცა ნეგუსი დასთანხმდება დასთმოს ოგადენის პროვინცია აბისინიისათვის ზღვაზე გასასვლელის მიცემის სანაცვლოდ, მაგრამ იგი არავითარ შემთხვევაში არ დასთმობს ტერიტორიას ჩრდილოეთში. (ადს).

□

იტალიის სულისკვეთება

ლონდონი, 25 ოქტომბერი. „ტაიმსის" ცნობით, ომი პოპულაროობით ვერ სარგებლობს იტალიის მოსახლეობის ფართო ფენებში. მუშებში ხშირად ისმის: „ბოლოსდაბოლოს ხომ ჩვენ შევიჭერით სხვის სახელმწიფოშიო". განსაკუთრებულ გაჭირვებას განიცდიან ის ოჯახები, რომელთა შვილები, ან ქმრები სამხედრო სამსახურში არიან. ის დახმარება, რომელსაც ჯარისკაცთა ოჯახებს აძლევენ, სრულებით არ კმარა საარსებოდ.

წვრილი მოსამსახურეები და მოხელეები აშკარად დასცინიან იტალიის გაზეთების ცნობებს იტალიის ხალხის მასობრივი მობილიზაციის შესახებ. ინტელიგენციის თვალსაჩინო უმრავლესობა ყოველთვის უარყოფითად უცქეროდა ფაშისტურ რეჟიმს და ახლაც იმდენადვე უარყოფითად უცქერის ომს (ადს).

□

ლიცენზიის გაუქმება

ლონდონი, 25 ოქტომბერი. ვაჭრობის სამინისტრო იუწყება, რომ უქმდება ლიცენზია იარაღის, ფეთქებადი ნივთიერების და თვითმფრინავების ექსპორტზე იტალიაში (ადს).

□

ერიოს არჩევა

პარიზი, 26 ოქტომბერი. რადიკალებისა და რადიკალ-სოციალისტურ პარტიის კონგრესმა პარტიის თავმჯდომარედ ერთხმად ხელახლა აირჩია ერიო (ადს).

ლონდონი, 26 ოქტომბერი. როგორც ადის - აბებიდან იუწყებიან, ჯარისკაცნი ათასობით იყრიან თავს დედაქალაქში და ფრონტზე მიემგზავრებიან. გუშინ ნეგუსმა დაათვალიერა რას გეტაჩის 30 ათასიანი ჯარი და გალის ტომის 10-ათასიანი ჯარი, რომელსაც გენერალი გაბტა მარიამი სარდლობს.

ადის-აბებას ჩავიდა ოგადენის ფრონტის სარდალი, გენერალი ნასიბუ, რომელმაც „დეილი ტელეგრაფის" კორესპონდენტს განუცხადა, რომ ჯიჯიგაში თავს იყრის დიდი არმია, რომელიც სამხრეთ-აღმოსავლეთის ფრონტის თავდაცვის ერთერთი დასაყრდენი იქნებაო. ნასიბუმ რწმენა გამოსთქვა, რომ ქალაქის შესანარჩუნებლად ჯარი და იარაღი მეყოფაო. მან განაცხადა, რომ ცნობები თითქოს აბისინელებს ოგადენის ფრონტზე დიდი ზარალი მოსვლიოდეთ, სინამდვილეს არ შეეფერება. გორახაისათვის ყუმბარების დაშენის დროს, აღნიშნა მან,—მოკლეს 6 და დასჭრეს 8 აბისინელი.

რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება, რომ გორახაიში აბისინიის გარნიზონი იტალიელთა შემოტევას ყოველ საათში მოელის. იტალიელები ქალაქის მისასვლელებზე იმყოფებიან და, არსებული ცნობებით, ქალაქის სამხრეთით 25 მილის მანძილზე თავს უყრიან ტანკებსა და ჯავშნოსნებს. აბისინიის მთავრობა იუწყება, რომ იტალიის თვითმფრინავებმა სროლა აუტეხეს ქალებსა და ბავშვებს, რომლებიც მინდვრად მუშაობდნენ.

რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტმა, რომელიც ხარარში მომქმედ აბისინელთა ჯარების სარდლობასთან იმყოფება, აბისინიის სამხრეთის ძალების მთავარსარდლის, რას დესტას ნებართვით, ინახულა ხარარსა და ჯიჯიგას შუა დაბანაკებულ აბისინელთა მთავარი ძალები და დაესწრო სამხედრო თავდაცვის მეცადინეობას. ჯარებს სარდლობენ გენერალი ხეფუ და ორი ბელგიელი ოფიცერი. ჯარისკაცნი მშვენიერ შთაბეჭდილებას სტოვებენ. მათი შეიარაღება სხვადასხვანაირია—თანამედროვე შაშხანებთან ერთად მათ აქვთ ძველებური თოფები და ზარბაზნები. დისციპლინა და მორალური მდგომარეობა საუცხოოა. საჰაერო თავდაცვის სწავლება აყვანილია მაღალ დონემდე. „ტაიმსის" კორესპონდენტის აზრით, აბისინელები პირველ გადამწყვეტ ბრძოლას გამართავენ მაკალეს ჩრდილოეთით. ხაითქენაც მიემართებიან სამხედრო მინისტრის, რას მულუგეტის ჯარები. როგორც ასმარიდან იუწყებიან, იტალიელებმა მთელი ტომრობით მოიტანეს რომში მოჭრილი აბისინური ტალერები. ამ ფულს იძლევიან რეკვიზირებულ პროდუქტებში.

იტალიის ყოფილი ელჩი ადის-აბებაში გრაფი ვინჩი და იტალიის სამხედრო ატაშე დღეს ჯიბუტს გაემგზავრნენ ვაგონს, რომლითაც იტალიელები მიდიან, ჯარისკაცთა დიდი რაზმი იცავს (ადს).

რომი, 26 ოქტომბერი. „მესაჯეროს" ცნობებით, იტალიის ტანკებმა სამხრეთის ფრონტზე წინ წაიწიეს ოგადენის პროვინციის შუაგულისაკენ და ბურის დაბლობში შეიჭრნენ. აბისინელებმა ძლიერი წინააღმდეგობა გაუწიეს, მაგრამ, გაზეთის მტკიცებით, იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ.

გაზეთ „ტრიბუნის" სპეციალური კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ იტალიელებმა წინ წაიწიეს აგრეთვე ჩრდილოეთის ფრონტზე (ადს).

□

იტალიის ჯარები წინ მიიწევენ

ლონდონი, 27 ოქტომბერი. „ბრიტიშ იუნაიტიდ პრესის" ხარარელი კორესპონდენტი 25 ოქტომბრის ცნობაში აღნიშნავს, რომ იტალიის ჯარი უახლოვდება იმ ხაზს, სადაც განლაგებული არიან აბისინიის დიდი ნაწილები, რომელთა დასაყრდენ პუნქტს ჯიჯიგა წარმოადგენს.

იტალიელმა მფრინავებმა ყუმბარები დაუშინეს მოწინავე საგუშაგოებს, რომლებიც იცავენ დაგაბურის რაიონს, ჯიჯიგიდან სამხრეთით 160 კილომეტრის მანძილზე. აქედან აბისინიის სარდლობას ის დასკვნა გამოაქვს, რომ მდინარე ვები-შებელიზე გენერალი გრაციანი თავისი ოპერაციებით მიზნად ისახავდა მხოლოდ დემონსტრაციას და რომ მისი ძირითადი კოლონა მიიწევს უალ-უალის ჩრდილოეთით ჯიჯიგას მიმართულებით. აბისინიის სარდალი მიზანშეწონილად არ სთვლის თავისი ძალების განლაგების შეცვლას მანამ, ვიდრე არ გამოირკვევა, თუ საბოლოოდ რა მიმართულებას აირჩევს გრაციანი (ადს).

სანქციები იტალიის წინააღმდეგ

ლონდონი, 26 ოქტომბერი. რეიტერის სააგენტოს გადმოცემით, ინგლისი იტალიის წინააღმდეგ ფინანსიურ სანქციებს 29 ოქტომბრიდან გაატარებს (ადს).

ჟენევა, 26 ოქტომბერი. ერთა ლიგას ეუწყა, რომ ესპანეთმა 23 ოქტომბრიდან აკრძალა იარაღის შეზიდვა იტალიაში. საბერძნეთი თანახმაა გამოიყენოს ფინანსიური სანქციები. სამხრეთ-სლავიამ ფინანსიური სანქციები 23 ოქტომბრიდან შემოიღო (ადს).

ჟენევა, 25 ოქტომბერი. ერთა ლიგის სამდივნომ სამხრეთ-სლავიისა, ჩეხოსლოვაკიისა და სამხრეთ-აფრიკის კავშირისაგან მიიღო ცნობა, რომ ისინი, „სანქციათა დიდი კომიტეტის წინადადებით", გაატარებენ სანქციებს იტალიის წინააღმდეგ.

ლონდონი, 26 ოქტომბერი. გამოქვეყნდა განკარგულება. იგი, თარიღიდან, რომელიც ჯერ კიდევ უნდა დაწესდეს, კრძალავს განსაზღვრული სახის საქონლის ექსპორტს იტალიაში, იტალიის საქონლის იმპორტს და იტალიისათვის კრედიტების მიცემას. (ადს).

□

სანქციების დიდ და მცირე კომიტეტთა მომავალი მოწვევისათვის

ჟენევა, 25 ოქტომბერი. სანქციათა შეთანხმების კომიტეტის თავმჯდომარემ ვასკონსელოსმა ოფიციალურად გამოაცხადა, „18-თა კომიტეტის" სხდომა გაიხსნება 31 ოქტომბერს დილას, ხოლო „დიდი კომიტეტისა"—იმავე დღის მეორე ნახევარში. ცნობილია, რომ კომიტეტმა ზუსტად უნდა განსაზღვროს ეკონომიური სანქციების ძალაში შესვლის ვადები.

არის ცნობები, რომ საფრანგეთის წარმომადგენელთა სურთ სანქციები ძალაში შევიდეს არა ადრე ინგლისის არჩევნებისა. საფრანგეთის ამ ტენდენციას უკავშირებენ პარიზსა და რომს კულისებში წარმოებულ მოლაპარაკებას (ადს).

□

არცერთი ტონა ქვანახშირი იტალიას!

პარიზი, 25 ოქტომბერი. „ლუმანიტემ" გამოაქვეყნა მაღაროელთა საერთაშორისო კომიტეტის მიმართვა ყველა მაღაროელისა, რკინისგზელისა, დოკერისა და ტრანსპორტელისადმი. კომიტეტი მოუწოდებს მათ არ დასტვირთონ და არ გადაზიდონ იტალიისათვის დანიშნული არცერთი ტონა ქვანახშირი (ადს).

ინგლისის კომუნისტური პარტიის მანიფესტი

ლონდონი, 26 ოქტომბერი. გამოქვეყნებულია კომუნისტური პარტიის საარჩევნო მანიფესტი. მანიფესტი აცხადებს, ამომრჩეველთა წინაშე წამოჭრილი ძირითადი საკითხი, ეს არის—საკითხი ომის თუ მშვიდობიანობის. „მშვიდობიანობის ერთადერთი გარანტია,—ნათქვამია მანიფესტში,—არის ისეთი მუშური მთავრობის არჩევა, რომელიც მოვალე იქნება მისდიოს მშვიდობიანობის პოლიტიკას და შეამციროს შეიარაღება. ასეთი მთავრობა დიდ ბრიტანეთში, თუ იგი იბრძოლებს მსოფლიოს დიდ სახელმწიფოს საბჭოთა კავშირთან ხელიხელჩაკიდებული, მშვიდობიანობის სასარგებლოდ ისეთ ძლიერ ფრონტს შექმნის, რომ ყოველ ფაშისტურ მთავრობას დაუკარგავს ომის დაწყების ხალისს". მანიფესტი მოუწოდებს ლეიბორისტთა პარტიის კანდიდატების არჩევისათვის, ვინაიდან ისინი მხარს უჭერენ ბრძოლას უმუშევართა მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის და ხელფასის შემცირებისა და შრომის ინტენსიფიკაციის წინააღმდეგ. მანიფესტი მოუწოდებს აგრეთვე მუშათა კლასის საბრძოლო მთლიანობისაკენ (ადს).

საბჭოთა კავშირში

საბჭოთა კავშირის სამეცნიერო აკადემიის ფილიალები ამიერ-კავკასიაში

მოსკოვი, 26 ოქტომბერი. ს.ს.რ. კავშირის სამეცნიერო აკადემიის ბაზებისა და ფილიალების კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. ა. ფ. შაროვმა საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელს განუცხადა: დღეს სამეცნიერო აკადემიის პრეზიდიუმმა, მოისმინა რა აკადემიკოს ვ. პ. ვოლგინის ინფორმაცია ამიერ-კავკასიის ფილიალის რეორგანიზაციის შესახებ, კვლავ დაადასტურა თავისი გადაწყვეტილება—დაარსდეს ორი ახალი ფილიალი—ერთი საქართველოსა, მეორე აზერბეიჯანში, მესამე სომხეთში აზერბეიჯანის ფილიალის თავმჯდომარედ პრეზიდიუმმა დაამტკიცა აკადემიკოსი ლევინსონ-ლესინგი, მის მოადგილედ პროფ. რუხულა ახუნდოვი და ამხ. ქიზიამოვი. სომხეთის ფილიალის თავმჯდომარედ დამტკიცებულია აგრეთვე აკადემიკოსი ლევინსონ-ლესინგი, მის მოადგილედ ამხ. მელიქი. საქართველოს ფილიალის თავმჯდომარის საკითხი ჯერჯერობით ღიად არის დატოვებული. საქართველოს ფილიალის თავმჯდომარის მოადგილედ დამტკიცებულია პროფ. კოტე გორდელაძე, სწავლულ მდივნად—პროფ. ეგოროვი.

აკადემიის პრეზიდიუმმა დაამტკიცა აგრეთვე ფილიალების სამეცნიერო საბჭოები, რომელთა შემადგენლობაში შევიდნენ სამეცნიერო აკადემიისა და ადგილობრივი სამეცნიერო-საგამოკვლევო, პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების წარმომადგენლები.

აზერბეიჯანის ფილიალის კაპიტალური მშენებლობის გეგმაში აკადემიის პრეზიდიუმმა შეიტანა დიდი ბოტანიკური ბაღი და სახლი ბაქოს ქიმიური ინსტიტუტისათვის.

სომხეთის ფილიალისთვის განზრახულია 1936 წელს შეიქმნას აგრეთვე ბოტანიკური ბაღი. აკადემიკოს ვავილოვის აზრით ამ ბაღს არა მარტო ადგილობრივი, არამედ საკავშირო მნიშვნელობაც ექნება. აქ თავმოყრილი იქნება დღემდე შენახულ ველურ ძვირფას და იშვიათ მცენარეთა ეგზემპლარები. გადაწყდა მომავალ წელს აშენდეს საცხოვრებელი სახლი სომხეთის აკადემიის ფილიალის სპეციალისტებისათვის. საქართველოს ფილიალისათვის განზრახულია ტფილისში აიგოს სპეციალური შენობა (ადს).

19 ოქტომბერს კულტურის სასახლეში (მოსკოვი) გაიმართა ავტომრეწველობის სტახანოველ ბუსიგინელთა შეკრება, რომელსაც დაესწრნენ აგრეთვე ამხ. ბუსიგინი და ამხ. იზოტოვი.
სურათზე: ნ. იზოტოვი და ბუსიგინი.

□ □ □ □ □ □ □

რაზე სწერს „პრავდა"

მოსკოვი, 26 ოქტომბერი. დღეს 26 ოქტომბერს, „პრავდის" მეორე სვეტი მიძღვნილი აქვს 1905 წლის 30 წლისთავს. სხვა მასალათა შორის მოყვანილია მ. ტოროშელიძის მოგონება სათაურით: „ამხანაგი სტალინი ამხილებს მენშევიკებს". ეს მოგონება მოთავსებული იყო 1920 წ. გაზ. „კომუნისტის" № 294-ში და ის მოყვანილია ლ. ბერიას წიგნში „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციის ისტორიისათვის".

მწერალ ნ. ა. ოსტროვსკისათვის შენდება სახლი

სოჭი, 26 ოქტომბერი. პიონერთა ქუჩაზე ორდენოსან მწერლის ნ. ა. ოსტროვსკისათვის შენდება სახლი. სახლის საესკიზო პროექტი შეადგინა მოსკოვის საარქიტექტურო ინსტიტუტის მასწავლებელმა—კომკავშირელმა არქიტექტორმა კრავჩუკმა.

სახლი ნაწილობრივ მოპირკეთებული იქნება თლილი ქვით ანდა მარმარილოთი. მთავარი შესასვლელის წინ გაკეთდება შადრევანი.

სახლის შავად დამთავრება განზრახულია 1 დეკემბრისათვის. უკვე მოიტანეს აგური, მოაქვთ ხრეში და კირი (ადს).

ორი დედა

კეკე—ამხ. სტალინის დედა,
პარასკევა—ამხ. დიმიტროვის დედა

□ □ □

ტფილისი, 25 ოქტომბერი 22 ოქტომბერს ეკატერინე გიორგის ასულს ჯუღაშვილს ეწვივნენ საკავშირო დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელნი, რათა ესაუბრნათ მასთან 17 ოქტომბერს თავის შვილ იოსებ ბესარიონის ძე სტალინთან შეხვედრის შესახებ.

პატარა მყუდრო ბინა. აქ სცხოვრობს ეკატერინე გიორგის ასული. ნათელი სადად მოწყობილი ოთახები. ოთახში შესვლისთანავე თვალში გეცემათ ილიჩის დიდი სურათი. მრგვალ პატარა მაგიდაზე ყვავილებიანი ვაზა დგას და ახალი გაზეთები აწყვია. მარჯვე, ხალიჩა-შემოკრულ დივანზე მაგიდას უზის სადად ჩაცმული, ძვლის სათვალიანი, ხნიერი ქალი. შავი თავშალი ხურავს. ჩვენს მისვლამდე გაზეთს ათვალიერებდა. ის გვიწვდის მოხუცებულობისაგან გამხდარ ხელს. შვილის სახელის ხსენებაზე მის თვალებში სიხარულის ცეცხლი ენთება. მის გამომეტყველება ამჟღავნებს ალერსსაც და სიამაყესაც.

— ჩემი შეხვედრა სოსოსთან... უკვე კარგა ხანია აღარ მენახა. ვერა ვარ კარგად, სუსტად ვგრძნობ თავს, მისმა დანახვამ კი ისე გამახარა, მეგონა ფრთები გამომესხა. ერთბაშად გაჰქრა სისუსტეც და ავადმყოფობაც.

ის გაჩუმდა, თითქოს კიდევ უნდა აღედგინა მეხსიერებაში საყვარელ შვილთან შეხვედრის წუთები. შალის წამოსასხამში გახვეულ წლებს თავისი გააქვს: ეკატერინე გიორგის ასული, ანუ, როგორც მას უყვარს მიმართავდნენ, — კეკე — მე-75 წელში გადადგა. სულ მცირე სიგრილესაც კი შეუძლია გავლენა მოახდინოს მის ჯანმრთელობაზე.

— მოდის ჩვენი ლავრენტი (საქ. კ. პ. (ბ) სამხარეო კომიტეტის მდივანი ამხ. ლ. ბერია), — განაგრძობს იგი, — და მეუბნება, სოსო მოვიდა, უკვე აქ არის და ახლავე შემოვაო.. გაიღო კარი და გამოჩნდა იგი, ჩემი ძვირფასი... ვუყურებ და თვალებს არ ვუჯერი. ისიც გახარებულია. მოდის და მკოცნის. კარგად გამოიყურებოდა, მხნედ და მხიარულად. ალერსით მეკითხებოდა ჩემს ჯანმრთელობას, მოიკითხა მახლობლები, მეგობრები.

უცბად როგორღაც შევამჩნიე რომ ჩემს შვილს თმა შევერცხლილი აქვს. ვკითხე კიდეც: „ეს რა არი, შვილო, ხომ არ გაჭაღარავდი-მეთქი". ის მიპასუხებს: „არა უშავს დედი, ჭაღარას რა მნიშვნელობა აქვს. თავს მშვენივრად ვგრძნობ, ამის ექვი ნუ გექნებაო".

მოვიკითხე შვილიშვილები... ისინი ყველაფერს მირჩევნია მთელ ქვეყნიერებაზე. ჩემი ნათელა, იაშა და ვასო...

— სოსო კი, — განაგრძობს ეკატერინე გიორგის ასული, — ხუმრობით მეუბნება, სწორედ ნათელას ბრძანებით მოვედი, ისა გთხოვს, დიდედამ კაკლის მურაბა გამომიგზავნოსო. სოსოსაც უყვარს ეს მურაბა, ბავშვობიდანვე უყვარდა.

— დრო შეუმჩნევლად გადიოდა... ვიგონებდით ძველ წლებს, მეგობრებს, მახლობლებს. ის ბევრს ოხუნჯობდა, ვიცინოდით. დიდხანს ვისხედით ერთად და მე ძალიან ბედნიერი ვიყავი: ჩემთან ხომ ჩემი სოსო იყო.

— შემდეგ, — განაგრძობს ის, სოსო წავიდა თავის თანამგზავრებთან ერთად ქალაქის დასათვალიერებლად. მე მარტო დავრჩი. მოზღვავდნენ მოგონებანი. სოსოს გარდა ხომ ორი ვაჟი კიდევ მყავდა. ორივე ადრე დავკარგე, დამრჩა მარტო სოსო. მოვიგონე როგორ მინდოდა განათლება მიმეცა ჩემი ბიჭისთვის, მივაბარე სკოლაში (ეს გორში იყო). მშვენივრად სწავლობდა, მაგრამ მამა მისმა — განსვენებულმა ჩემმა ქმარმა ბესარიონმა — მოინდომა ბავშვის სკოლიდან გამოყვანა, რომ თავისი ხელობა, — მეწაღეობა ესწავლებინა. წინააღმდეგობას ვუწევდი, როგორც კი შემეძლო, კიდევაც წავეჩხუბე ქმარს, მაგრამ არაფერი გამივიდა: მან თავისი გაიტანა.

— რამდენიმე ხანს შემდეგ მაინც მოვახერხე ისევ სკოლაში მიმებარებინა. ის იქ პირველ მოწაფედ ითვლებოდა, სტიპენდია დაუნიშნეს — თვეში სამი მანეთი.

უდიდესი ყურადღებით ვისმენდით ჩვენ ამ გამხდარი მოხუცებულის საუბარს, რომელმაც მსოფლიოს უდიდესი ადამიანი შვა. ის გვიამბობდა თავის ცხოვრებას, შვილთან ერთად გორში გაჭირვებულ ცხოვრებას, როდესაც მას უხდებოდა თითონ შეესრულებინა მძიმე სამუშაოები და დღიურადაც კი ემუშავნა. ის გვიამბობდა, თუ როგორ სწავლობდა მისი შვილი ბავშვობაში და როგორ ასწავლიდა სხვებსაც. ჯერ კიდევ პატარა ბიჭი ბევრ მეზობლის ბავშვს ასწავლიდა წერა-კითხვას.

სხვა დღეების შესახებაც გვიამბობდა, ამხანაგი სტალინის სარევოლუციო მოღვაწეობის პირველი დღეების შესახებ. ლაპარაკობდა იმ მწარე დღეებზე, რაც მან განიცადა, როდესაც მის შვილს შორეულ ციმბირში ჰგზავნიდნენ.

ჩვენ მასთან ერთად ვათვალიერებდით ამხანაგი სტალინის ბავშვობის ფოტოგრაფიულ სურათებს, როცა იგი სემინარიაში სწავლობდა, მის სურათებს ოჯახურ წრეში. ჩვენ დავათვალიერეთ დედის სანუკვარი კუთხე — ამხ. სტალინის საუკეთესო ფოტოგრაფიული სურათები, რომელნიც საწოლს ზემოთ ჰკიდია კედელზე. ერთ სურათს წარწერა აქვს სტალინის საკუთარი ხელით — ქართულ ენაზე.

ეკატერინე გიორგის ასული განაგრძობს თავის ამბავს:

— მალე სოსო და ამხანაგები დაბრუნდნენ ქალაქში გასეირნებიდან. კვლავ ბევრი ვისაუბრეთ. კარგად გავუმასპინძლდი მას. ქილა კაკლის მურაბაც გავატანე ნათელასთვის.

მაგრამ დღე მალე გავიდა. დადგა გამომშვიდობების წუთი, სოსო მომიახლოვდა და მაგრად, მაგრად მაკოცა. ტკივილი იგრძნო დედის გულმა. ცრემლები მომადგა თვალებში მაგრამ თავი შევიმაგრე. არ მინდოდა მეჩვენებინა შვილისთვის, რომ ასე მეძნელება მისი განშორება. ადვილი გასაგებია, რომ ეჩქარება, მას ხომ დიდი, მნიშვნელოვანი საქმეები აქვს.

საუბარი დასრულდა. გამოვეთხოვეთ სტუმართმოყვარე დიასახლისს, მადლობა გადავუხადეთ გულთბილი მიღებისათვის და ღრმად აღელვებულებმა დავსტოვეთ იმისი ოთახი, ვინც ყველა ხალხების მშრომელთა დიდი ბელადი შვა მსოფლიოს (ადს).

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბარომეტრი ქარიშხალს უჩვენებს

„ბარომეტრი ქარიშხალს უჩვენებს“, — სწერდა ვლადიმერ ილიასძე სწორედ 30 წლის წინათ, 1905 წლის 26 ოქტომბერს. შორეულ ქვეყნიდან იგი ზუსტად განსაზღვრავდა რუსეთის პირველი რევოლუციის მიმართულებას.

სრულიად რუსეთის პოლიტიკური გაფიცვა მთელს ჩვენს ქვეყანას მოედო. რევოლუციური პროლეტარული ინიციატივით თანაბრად მოიპოვეს სახელი მოსკოვმა და პეტერბურგმა.

10-12 ოქტომბერს მოსკოვში ყველგან ეწყობა მუშათა მიტინგები. დაარბიეს რამდენიმე სტამბა, რომლებმაც უარი სთქვეს გაფიცვაზე. ტვერის ქუჩაზე, გენერალ-გუბერნატორის სახლის მახლობლად, ხდება მუშათა პირველი შეტაკება პოლიციელებთან. ჯარები ტყვიებს უშენენ მუშებს. ფილიპოვის მცხობლები შეშასა და ქვებს უშენენ კაზაკებსა და პოლიციელებს, მოძრაობას მეთაურობს ბოლშევიკთა მოსკოვის კომიტეტი.

რევოლუციური აღტყინება მთელს რუსეთში ვრცელდება. განუწყვეტელი მიტინგები, მანიფესტაციები იმართება ვილნოში, ყაზანში, იზრდება მოძრაობა ბათომში, კიევში, სამარაში, სარატოვში, ტფილისში.

17 ოქტომბერს იზრდება გაფიცვა პეტერბურგში. გაიფიცა სემენიკოვის გემთმშენებელი ქარხანა. მუშები აგებენ ბარიკადებს. ქუჩებში გამოჩნდნენ კაზაკები. გემთმშენებელი ქარხნის შემდეგ მუშაობა შესწყვიტეს სხვა ქარხნებმაც. გაფიცვას ერთსულოვნად უერთდება ობუხოვის უდიდესი ქარხანა. მუშები აჩერებენ მოძრაობას საგარეუბნო რკინიგზაზე, განუწყვეტლივ იმართება დემონსტრაციები, მიტინგები. მთელი ქალაქი აჭრელებულია ლოზუნგებით: „ძირს სახელმწიფო სათათბირო“, „ამნისტია ყველა პატიმარს“, „სიტყვის, კრების, კავშირების, გაფიცვების თავისუფლება“. გაფიცულია პიტერის და ნარვის [illegible]. გამოდის ბოლშევიკური პარტიის პეტერბურგის კომიტეტის მოწოდებანი.

19 ოქტომბერს ღამით მოსკოვ-ყაზანის რკინიგზაზე იწყება მემანქანეთა გაფიცვა.

გაფიცული არიან ყაზანის რკინიგზის მუშები. საგაფიცვო მოძრაობა მთელს გზას მოედო. ამ გაფიცვას სხვა გზებიც უერთდებიან. პეტერბურგში, პუტილოვის ქარხანაში, იმართება მიტინგები. პოლიციამ ტყვიები დაუშინა ობუხოვის ქარხნის მუშებს. გაფიცვა ედება მინსკს, ვარშავას, რიგას.

22-23 ოქტომბერს გაფიცულია თითქმის ყველა რკინიგზა. სადგურთა ლიანდაგებზე გაფუჭებულია ისრები, ჩამტვრეულია სემაფორები. მრავალრიცხოვანი მიტინგები იმართება პეტერბურგში, მოსკოვში, სმოლენსკში, კიევში, ოდესაში და სხვა ქალაქებში. იფეთქა გაფიცვამ ეკატერინოსლავში. კავკასიაში შესწყდა ტრამვაის მოძრაობა.

24-25 ოქტომბერს გაფიცულია 700 ათასი რკინიგზელი. გაფიცვა საყოველთაო ხასიათს ღებულობს. ხარკოვსა და ეკატერინოსლავში დაიწყო მუშების შეტაკება პოლიციასთან. პეტერბურგში მიმდინარეობს მუშათა დეპუტატების საბჭოს არჩევნები.

26 ოქტომბერს შესდგა პეტერბურგის საბჭოს პირველი სხდომა. მოსკოვში მუშაობას სწყვეტენ ცინდელის, აბრიკოსოვის და სხვა ფაბრიკები. გაფიცვებია კიევში, რეველში, მინსკში, იაროსლავლში, დონის როსტოვში, ბათომში. სარატოვის გუბერნიაში მასობრივად არბევენ მემამულეთა სახლ-კარს. მეფის მთავრობა პანიკამ მოიცვა. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ ინიშნება ვიტე.

27 ოქტომბერი. მუშაობა შესწყვიტა პეტერბურგის ქვემეხების ქარხანამ. არ მუშაობს ქალაქის ცხენის რკინიგზა. დახურულია ბანკები, სახელმწიფო დაწესებულებანი. რეველში მუშებმა ხელთ იგდეს იარაღის მაღაზიები. სევასტოპოლში მასობრივი დემონსტრაციებია. ხარკოვში ასაფლავებენ რევოლუციური ბრძოლის პირველ მსხვერპლთ. მინისტრთა განსაკუთრებულ თათბირს გამოაქვს გადაწყვეტილება უმაღლეს სასწავლებლებში კრებების აკრძალვის შესახებ. ტრეპოვმა გასცა თავისი ცნობილი ბრძანება:

„უტყვი ვაზნებით არ ისროლოთ და ვაზნებს ნუ დაზოგავთ“.

29 ოქტომბერს გაფიცულია ფინეთის რკინიგზა. ხდება მეფის ჯარების შეტაკება მუშებთან რიგაში, ვილნოში, ოდესაში, ყაზანში, ელისავეტგრადში. საფრანგეთის გაერთიანებული სოციალისტური პარტიის კონგრესი ესალმება რუსეთის რევოლუციას. გაფიცვა უმაღლეს წერტილს აღწევს. ბოლშევიკები აყენებენ საკითხს, რომ გაფიცვა დაუყოვნებლივ გადაიქცეს შეიარაღებულ აჯანყებად.

30 ოქტომბერს მეფის მთავრობამ გამოსცა მანიფესტი და შეეცადა მოეტყუებინა მუშათა და გლეხთა ფართო მასები. იწყება ებრაელთა მასობრივი პოგრომები. მუშათა წინამძღოლებს სცემენ, საპატიმროებში ამწყვდევენ.

მანიფესტის გამოცემისთანავე ლენინი სწერს სტატიას, რომელშიაც განმარტავს თვითმპყრობელური მთავრობის ამ მანევრის აზრს. ლენინი ემზადება რუსეთში ჩამოსასვლელად. გამომგზავრების წინ იგი მოუწოდებს რუსეთის პროლეტარიატს „ახალი, კიდევ უფრო შეუპოვარი ბრძოლისაკენ, რათა არ მისცეს მტერს გონზე მოსვლის საშუალება“.

ოქტომბრის საყოველთაო გაფიცვაში მონაწილეობას ღებულობდა სულ 2.628 სამრეწველო საწარმო 471.364 მუშით. რკინიგზელებთან, კომუნალურ საწარმოთა და სახელმწიფო დაწესებულებათა მუშებთან და მოსამსახურეებთან ერთად გაფიცული იყო 1.181.364 კაცი.

26 ოქტომბრის „პრავდა“.

ამხ. სტალინის სახ. ტფ. სარემონტო ქარხნის ზეინკალი ამხ. დევსურაშვილი, რომელიც დაჯილდოებულია „დამკვრელის“ ნიშნით და ამხ. ორჯონიკიძის სახ. ქარხნის ზეინკალი გერმოზანაშვილი, რომლებმაც აგვისტოს და სექტემბრის გეგმები გადაჭარბებით შეასრულეს.

საერთაშორისო თემებზე

იაპონიის „ახალი“ პოლიტიკა ჩინეთში

იაპონია შეუდგა „ჩინეთში თავისი ახალი პოლიტიკის“ პრაქტიკულად განხორციელებას. ეს პოლიტიკა, რომელიც ძირითადად ტოკიოში არის დამტკიცებული, დეტალურად დამუშავდა იაპონიის სამხედრო მოღვაწეთა სპეციალურ კონფერენციებზე დაირენსა, ტიანძინსა და შანხაიში.

საერთოდ ახალი გეგმები ითვალისწინებენ იაპონიის იმპერიალიზმის სრული და მონოპოლური სამხედრო-პოლიტიკური და ეკონომიური ბატონობის დამყარებას ჩინეთში. დიდი ხმაურობა, ატეხილი იაპონელი გენერლების მიერ, რომლებიც მზად არიან მთელი ჩინეთი გადაყლაპონ, ახლანდელ ეტაპზე ნათელ, გარკვეულ მიზნებს ისახავს. უყენებს რა ნანკინს საშინლად გაბერილ მოთხოვნებს, ტოკიო წინასწარ თანხმდება დათმობებზე, ამასთან თავის მადას ჯერ-ჯერობით განსაზღვრავს მარტო... ჩრდილოეთ ჩინეთით.

ფაქტიურად ჩრდილოეთ ჩინეთი უკვე ამჟამადაც იაპონიის კონტროლის ქვეშ იმყოფება. სამხედრო წრეების ახალი პრეტენზიები მდგომარეობენ იმაში რომ ისინი მოითხოვენ, რათა ფორმალურად იქნას აღიარებული იაპონიის კანონიერი უფლებები ჩინეთის ტერიტორიის ამ ნაწილზე.

„მოძრაობა ჩრდილოეთ ჩინეთის დამოუკიდებლობისათვის“, რომელიც ხებეის პროვინციაში დაიწყო, მიმდინარეობს ჩინეთში იაპონიის სამხედრო წარმომადგენელთა კონფერენციის გადაწყვეტილებებთან ზუსტად შეფარდებით. როგორც ცნობილია, იაპონიის სამხედრო წრეები და მათი აგენტურა, რომელიც ჩინეთის მოსყიდულ გენერალიტეტს შორის არის შეგროვილი, აჭრელებული ტერმინებით ცდილობენ შექმნან „ჩრდილოეთ ჩინეთის დამოუკიდებელი სახელმწიფო“.

იაპონიის აგენტების მიერ მოწყობილმა ახალმა მოძრაობამ უნდა შექმნას ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს ჩინეთის ხალხს სურს ნანკინისაგან ჩამოშორება. ამ „სურვილს“ უკვე ახლაც ფართოდ იყენებს იაპონიის აგენტურა, რომელიც აკომპლექტებს „დამოუკიდებელ“ ჩრდილოეთ ჩინეთის სახელმწიფოს მთავრობის შემადგენლობას.

ამასთან დაკავშირებით, გასაგები ხდება იაპონიის ერთიერთი მოთხოვნა, რომელშიც პირდაპირ არის მითითებული, რომ „იაპონია იცნობს ყოველგვარ ადგილობრივ ხელისუფლებას, გაუწევს მას დახმარებას და დაიწყებს შემდგომ მოლაპარაკებას“. ასეთი ისტორია ერთხელ უკვე მოხდა, როცა იაპონიამ ხელი შეუწყო მანჯოუგოს შექმნას და პირველმა იცნო ახალი ტიკინა სახელმწიფო.

იაპონიის სამხედრო წრეებმა მოხერხებულად ამოირჩიეს მომენტი თავიანთი დამპყრობლური გეგმების განსახორციელებლად. იტალია-აბისინიის ომი და მის მიერ გამოწვეული დაძაბული საერთაშორისო მდგომარეობა ხელს უწყობენ იაპონიის პოლიტიკას ჩინეთში. აფრიკაში წარმოებული ომი ხელფეხს უხსნის იაპონიის იმპერიალიზმს შორეულ აღმოსავლეთში.

შანხაის ცნობილი ჟურნალი „ჩაინა უიკლი რევიუ“, ეხება რა ჩრდილოეთ ჩინეთის სახელმწიფოს შექმნის იაპონურ გეგმებს, აღნიშნავს, რომ

„იტალია-აბისინიის ომისაგან, რომელმაც დაბლა დასცა დიდ სახელმწიფოთა საქმიანობის შორეულ აღმოსავლეთში, ყველაზე მეტ მოგებას ნახულობს იაპონია, რომელიც შეუდგა თავისი ფართო დამპყრობლური პროგრამის განხორციელებას ჩინეთში“.

უკანასკნელი დღეების ამბები უკვე ადასტურებენ შანხაის ჟურნალის აზრს.

ა. ხამადაძი.

27 ოქტომბრის „პრავდა“.

მდგომარეობა ჩრდილო-ჩინეთში

ტოკიო, 25 ოქტომბერი. სიმბუნ რენგოს სააგენტოს ბეიპინელი კორესპონდენტი იუწყება: პროვინციული მთავრობის თავმჯდომარის შან-ჩენის მეცადინეობამ, რათა მშვიდობიანად ეწარმოებინა მოლაპარაკება „მეამბოხეებთან“, რომელთაც დაიკავეს სამაზრო სამმართველო სიანხეში, ნაყოფი ვერ გამოიღო. კიდევ მეტიც, შან-ჩუნის პირადი წარმომადგენელი ლუ ცი-ტუნი დააპატიმრეს „მეამბოხეებმა“.

სააგენტოს ტიანძინის კორესპონდენტი იუწყება, ჩრდილო-ჩინეთის მდგომარეობას ართულებს ახალი მღელვარება მთელი რიგი რაიონების გასაბჭოებისათვის. ეს თითქოს იმით უნდა იყოს გამოწვეული, რომ სიუიუანის პროვინციის საზღვრებს უახლოვდება ჩინეთის 10 ათასიანი წითელი არმია სიუ-ხაიდუნის სარდლობით, ეს არმია შეუერთდა ლუ ძი-ტანის წითელ არმიას.

ტოკიო, 26 ოქტომბერი. ყველა გაზეთი იუწყება, სიანხეში დაწყებული „სახალხო მოძრაობა“ უკვე მოედო ხებეის პროვინციის 12 მაზრას და ხუნანის პროვინციის ერთ მაზრასაც. 3 მაზრამ უკვე ფორმალურად „გამოაცხადა ავტონომიის შემოღება“ (ადს).

„პოზიტური ზომები“

ტოკიო, 26 ოქტომბერი. „ნიჩი-ნიჩი“ და „ძი-ძი“ იუწყებიან, რომ კვანტუნის არმიის სარდლობამ გადასწყვიტა მიიღოს „პოზიტური ზომები“, რათა აცილებულ იქნას „კომუნისტური მუშაობა ჩრდილოეთ ჩინეთში“. ამისათვის კვანტუნის არმიის სარდლობა აყენებს შემდეგ გეგმას:

1) ჩინეთმა, იაპონიამ და მანჯოუგომ ერთად უნდა მიიღონ ზომები ჩრდილოეთ-ჩინეთში კომუნისტური მოძრაობის გავრცელების წინააღმდეგ.

2) უნდა გაუქმდეს გომინდანის ადმინისტრაცია ჩრდილოეთ ჩინეთში;

3) იძულებული უნდა გახადონ ნანკინის მთავრობა შესწყვიტოს ანტიიაპონური მოძრაობა და გაატაროს იაპონიისათვის ხელსაყრელი პოლიტიკა (ადს).

ბრძოლები ჩინეთის წითელ არმიასა და ნანკინის ჯარებს შორის

ტოკიო, 25 ოქტომბერი. სიმბუნ რენგოს ჩენდის (სიჩუანის პროვინციის დედაქალაქი) კორესპონდენტის დაგვიანებულ ცნობაში ნათქვამია, რომ ჩინეთის წითელმა არმიამ მაო ცე-დუნის და პენ დე-ჰუას სარდლობით, 10 ოქტომბერს გაიარა მინძაჩუანი (პინლიანის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით, განსუს პროვინციის აღმოსავლეთით ნაწილში) და მიემართება აღმოსავლეთისაკენ. პინლიანთან წითელი არმიის ნაწილებს 11 ოქტომბერს ნანკინის კავალერიასთან ბრძოლა ჰქონდათ. ამავე დროს წითელ არმიასა და ნანკინის ჯარებს შორის ბრძოლა სწარმოებდა შეიცინის მახლობლად, მდინარე დაციხეზე, სიჩუანის პროვინციის ჩრდილოეთ-დასავლეთ ნაწილში. კორესპონდენტი იუწყება აგრეთვე, რომ წითელი არმიის ნაწილები 11 ოქტომბერს ჩავიდნენ ჩი-სიუჩეში, შუიცინის ჩრდილოეთით. წითელი არმიის ათასი კაცისაგან შემდგარ რაზმს უკავია შეიხუს მთა, რომელიც შუიცინის პირდაპირ მდებარეობს. (ადს).

„ჩრდილოეთ ჩინეთის ჩინელ ხალხთა წარმომადგენლების“ დეკლარაცია

ბეიპინი, 26 ოქტომბერი. ტიანძინის „ჩენბაოს“ და „ცინბაოს“ მოჰყავთ „ჩრდილოეთ ჩინეთის ჩინელ ხალხთა წარმომადგენლების“ დეკლარაცია. დეკლარაცია მოითხოვს ავტონომიური მთავრობის შექმნას, ნანკინთან ურთიერთობის გაწყვეტას, ბრძოლის გაძლიერებას კომუნიზმის წინააღმდეგ, რომელმაც „მტკიცე დასაყრდენი ჰპოვა ჩრდილოეთ ჩინეთში“ და აგრეთვე აყენებს საგადასახადო ტვირთის მოხსნის დემაგოგიურ ლოზუნგს. დეკლარაცია შეიცავს მთელ რიგ გალაშქრებას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

მნახველთა სიტყვით, სიანხეში მოწყობილი აჯანყების ხელმძღვანელები აშკარად აცხადებდნენ, რომ ისინი „ჩრდილოეთში ახალ მთავრობას ქმნიან“. მნახველები ამტკიცებენ, რომ აჯანყებულებმა ქალაქი ხელთ იგდეს იაპონიის ჟანდარმერიის მოსვლის შემდეგ და რომ ფაქტიურად აჯანყებულებმა ქალაქი ამ ჟანდარმერიის დახმარებით დაიკავეს (ადს).

საარჩევნო მანიფესტები ინგლისში

ლონდონი, 25 ოქტომბერი. გუშინ ლიბერალებმა გამოაქვეყნეს თავის საარჩევნო მანიფესტი. ისინი მხარს უჭერენ „ეფექტურ ნაციონალურ თავდაცვას“ და „კერძო მოგების მოტივთა მოსპობას შეიარაღების წარმოების დროს“, წინააღმდეგნი არიან სატარიფო შეზღუდვათა პოლიტიკისა და ოტავის შეთანხმებისა. საშინაო პოლიტიკის საკითხებში ლიბერალები მოითხოვენ გაჭირვების შემოწმების გაუქმებას, კაპიტალურ დაბანდებათა საზოგადოებრივ კონტროლს და პროპორციულ წარმომადგენლობას.

თავის მანიფესტში ლეიბორისტები სინანულს გამოსთქვამენ, რომ მთავრობამ იმ დროს დანიშნა არჩევნები, როდესაც საერთაშორისო კრიზისი ეგზომ გამწვავებულია. ძირითადი ადგილი უმუშევრობის საკითხს უკავია. მანიფესტი თხოულობს აგრეთვე გაჭირვების შემოწმების გაუქმებას. მანიფესტში ლეიბორისტები სასტიკად აკრიტიკებენ მთავრობას იმისათვის, რომ თავის დროზე მას არაფერი გაუკეთებია იაპონიისა და იტალიის აგრესიის თავიდან ასაცილებლად, მხარს უჭერენ მშვიდობიანობის დაცვის კოლექტიურ სისტემას და ერთა ლიგისგან მოითხოვენ სასწრაფო მოქმედებას აფრიკაში ომის ჩასაქრობად. მანიფესტი აყენებს აგრეთვე განიარაღების შესახებ მოლაპარაკების დაუყოვნებლივ განახლების მოთხოვნას.

ლეიბორისტები პირველად უჭერენ მხარს წინადადებას „ლორდთა პალატის გასაუქმებლად რწმუნებათა“ მიცემას.

ფაშისტებმა განაცხადეს, მომავალ არჩევნებში ჩვენ არ წამოვაყენებთ კანდიდატსაო (ადს).

საარჩევნო შეთანხმება

ლონდონი, 26 ოქტომბერი. ლეიბორისტთა ყოფილმა ბელადმა ლორდ სნოუდენმა ლოიდ ჯორჯთან და ლიბერალების ხელმძღვანელ სემიუელთან დასდო საარჩევნო შეთანხმება. ბრიტანეთის რადიოგადაცემის კომპანიამ სამივეს მისცა უფლება საარჩევნო კამპანიის დროს ლიბერალების სახელით წარმოსთქვან სიტყვები რადიოთი.

სემიუელმა წინადადება მისცა ლიბერალებს იმ საარჩევნო ოლქებში, სადაც ნაციონალური მთავრობის წინააღმდეგ წამოყენებული არ იქნებიან ლიბერალი კანდიდატები, ხმა მისცენ იმ კანდიდატს, რომელიც მხარს უჭერს ლოიდ ჯორჯის „მოქმედების საბჭოს“ პროგრამას. ფაქტიურად ეს იმას ნიშნავს, რომ მათ ხმა უნდა მისცენ ლეიბორისტების კანდიდატს (ადს).

სანდრო ეული

დედის ნახვა

ტფილისმა თვალში მზე ჩაიდგა და ცეცხლი გულში,
შემოდგომის ზეცის გაზაფხულის დარი ეწვია,
ქალაქი ძვირფას მნახველს თრთოლვით მკერდს გადაუშლის
ამ მკერდს, რომელსაც ძველი ბედი დაულეწია..

○

ქუჩები ტრფობით იხუტებდნენ ცნობას ფრთებასხმულს, —
„დილით მოსულა სანახავად ძვირფას დედისა“.
ნუ თუ ტფილისი აისრულებს მიზანს დასახულს, —
ნახავს წინამძღოლს და გადამწყვეტს ქვეყნის ბედისა?

○

ჩელუსკინელთა ხიდმა მტკვარსა მყისვე გადასცა,
როცა საჩუქრად სიხარული მიიღო მისი,
რომ ბედნიერ წუთს მისი ხილვით ხიდი არ აცდა
და გახდა მისგან მოწონების და ქების ღირსი.

○

ავტო მიჰქროდა, წინ გაშლილი იყო ტფილისი
ახალ ცხოვრების თვალწარმტაცი შადრევნებით,
მოგონებები წამოშლილნი დაბურულ ნისლით
შავ წარსულიდან წამოვიდნენ იაღვარებით.

○

რუსთაველის პროსპექტს სასახლისკენ ეჭირა თვალი, —
ბელადის გული დედისაკენ ისე მიჰქროდა,
თითქოს ის გული ერთი იყო, არა მრავალი, —
გული მასსების, რომ ერთ მკერდის ფიცარს მიკროდა.

○

ძველი სასახლის გაიწია კედლები ფართოდ,
სად წინად მეფის ჯალათებსა ბუნაგი ჰქონდათ,
თეთრი სვეტები ჩირაღდნებით წამსვე აინთო
და ერთ ოთახში დედა ძვირფას შვილს მოელოდა.

○

„შვილო, შენა ხარ, ჩემი სოსო?“ — შესძახა დედამ,
როს შვილს კარებში მიეგება დედის თვალები,
დიდხანს ის მოხუცს დედის სახეს ალერსით ჰკვრეტდა,
დიდხანს მოხუცი შვილს იკრავდა მკერდზე მკლავებით.

ამ წუთებშიაც მსოფლიო ბედს ბელადი სჭედდა.

მოვსპოთ წუნი!

ტყავის მრეწველობის მუშაკები პროდუქციის დაბალ ხარისხის პირველ მიზეზად ნედლეულის უვარგისობას ვასახელებენ; ნედლეულის ქარხანაში კი გეტყვიან, ტყავ დამამზადებელი ორგანიზაციები ცუდად მუშაობენო. ამ უკანასკნელთაც აქვთ გასამართლებელი „საბუთები“, მაგრამ ამ ადამიანთა ურცხვი განცხადება ხომ არაა საქმე.

ჩვენი მომხმარებელი ახლა, საბარათო სისტემის გაუქმებისა და მსუბუქი მრეწველობის დიდძალი ნაწარმის არსებობის დროს, მოითხოვს მაღალი ხარისხის პროდუქციას; მომხმარებელი იმას არ დაეჯერდება, რომ შევთავაზოთ უხეიროდ, ულამაზოდ გამოყვანილი ფეხსაცმელი. მაგრამ ჩვენი ფაბრიკები ხშირად ვერ აკმაყოფილებენ ამ სამართლიან მოთხოვნას. აი, მაგალითად, ტფილისის ტყავფეხსაცმელის ფაბრიკა № 1. ფაბრიკას წლიური გეგმით უნდა გამოეშვა 1.568.400 მანეთის პროდუქცია. ეს დავალება 9 თვეში შესრულებულია 98,6 პროცენტით, მაგრამ როგორია პროდუქციის ხარისხი? ამას ციფრები გვეტყვის.

საერთოდ, გამოშვებული პროდუქციის 88 პროცენტი პირველი ხარისხისა უნდა იყოს, 8,2 პროც., — მეორე ხარისხისა, 3,1 პროც., მესამე ხარისხისა და 0,7 პროც., — წუნი. თუ ამ გეგმით გათვალისწინებულ მაჩვენებლებს შევადარებთ ფაქტიურ მდგომარეობას, არადამაკმაყოფილებლობის აშკარა სურათი გადაგვეშლება თვალწინ. მესამე კვარტალში გამოშვებული პროდუქციიდან 79 პროც. პირველი ხარისხისაა, 13,8 პროც., — მეორისა, 4,2 პროც., — მესამისა და 2,3 პროც., — წუნისა.

ამნაირად: რაოდენობა სჭარბობს ხარისხს, და სწორედ აქ წინდება საქმე, აქ იპოება მომხმარებლის კეთილი და სამართლიანი სურვილი მაღალ ხარისხის ფეხსაცმელის მოწოდებისა.

ოქტომბრის 13 დღეში არახარისხოვანი პროდუქცია (მეორე და მესამე ხარისხის პროდუქცია და წუნი ერთად) გეგმით გათვალისწინებულ 12 პროცენტის ნაცვლად 27.3 პროცენტს აღწევს. რა არის პროდუქციის დაბალი ხარისხის მიზეზი? როგორც ზემოთ ვთქვით, ფაბრიკაში ამის მიზეზად ნედლეულის უვარგისობას ასახელებენ; მართალია, ნედლეული დაბალი ხარისხისაა, მაგრამ მისგან უეჭველად წუნდებული პროდუქცია ხომ არ უნდა გამოუშვათ? წუნის მიზეზია შრომის უმართებულო ორგანიზაცია, მუშათა დაბალი კვალიფიკაცია, მათი ნაკლები დაინტერესება და ნაკლები პასუხისმგებლობა. სხვანაირად ამის ახსნა შეუძლებელია. მაგალითად, რატომ არის, თუ არა შედეგი მუშათა დაბალი კვალიფიკაციისა და ნაკლები დაინტერესების, უპასუხისმგებლობისა, რომ საქალებო ფეხსაცმელს უადგილო ადგილას ორი სამი ლუსმანი აქვს, ზედაპირი დაფხაჭნილია, ტყავი კარგად არ არის გადაჭიმული და ამის გამო ფეხსაცმელი ნაოჭებიანია, ულამაზოდ გამოიყურება, ფორნიტურა გაწყვეტილი აქვს და სხვ.? ფაბრიკაში წუნდებული პროდუქციის გამოშვებისათვის მუშებს აჯარიმებენ, ეს ცუდი პრაქტიკა არ არის; მაგრამ რამდენ ხანს უნდა განვაგრძოთ ასე? ხომ არ შეიძლება მუშათა დაჯარიმება მუშაობის სისტემად გავიხადოთ? ფაბრიკაში უკანასკნელ დღეებში ხარისხი გაუმჯობესდა, მაგრამ წუნი მთლად არ მოსპობილა.

○

ფაბრიკა „მკერავ“ № 2-ში მდგომარეობა გაუმჯობესდა. პროდუქციის მაღალი ხარისხისათვის ლაშქრობას სათავეში ჩაუდგნენ ფაბრიკის პარტიული, სამეურნეო და პროფესიული ორგანიზაციები და შედარებით კარგ შედეგსაც მიაღწიეს.

9 თვის მანძილზე გამოშვებულ პროდუქციაში საწარმოო წუნი (ფაბრიკაზე დამოკიდებული მიზეზით გამოშვებული წუნდებული პროდუქცია) შეადგენს 0,8 პროცენტს, შარშანდელ 1,7 პროცენტის ნაცვლად. თითქმის ერთიორად შემცირდა საფეიქრო (ნედლეულის მიზეზით გამოშვებული) წუნი — 9 თვეში იგი შეადგენს 3,9 პროცენტს (შარშან იყო 7.2 პროცენტი). მაგრამ არც ეს კმარა. წუნის ხსენება, საწარმოო იქნება იგი თუ საფეიქრო, უნდა მოისპოს ჩვენს ფაბრიკებში.

გ. გ.

ი. ქვანია

ქართლის რაიონები გეგმებისათვის ბრძოლაში

საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიურომ 13 ოქტომბერს აღნიშნა სამარცხვინო ჩამორჩენა საშემოდგომო თესვის კამპანიაში. ჩამორჩენილი იყო თითქმის ყველა რაიონი; მათ შორის — ქართლის რაიონებიც — გორი და ხაშური.

დაკვირვებამ და საკითხის ადგილობრივ დეტალურად შესწავლამ დაგვიდასტურა, რომ რაიონებისათვის ც. კ-ის მიერ მოცემული დირექტივა: „რაიონებს სრული შესაძლებლობა აქვთ საშემოდგომო თესვა 25 ოქტომბერს დაამთავრონო“ სავსებით სწორია.

იმ სასოფლო საბჭოებში, სადაც პარტიის დირექტივა სწორად გაიგეს და მის რეალიზაციას თავის დროზე ბოლშევიკურად მოჰკიდეს ხელი, არავითარი გარღვევა არ არის. პირიქით, თესვა თავის დროზე დამთავრდება სათანადო ხარისხის დაცვით.

გულს სიხარულით გვავსებს, როდესაც ხედავ მწვანე, მობიბინე ჯეჯილს. ქართლის სინამდვილეში [illegible] ნულზე სათესი მანქანით მწკრივად პირველად დათესილს. მწკრივად თესვის გეგმა წელს გადაჭარბებითაა შესრულებული. უკუღმართი წარსულის მაჩვენებელი კავი წელს პირველადაა განდევნილი ხმარებიდან.

უნდა ითქვას, რომ ზოგმა სოფ. საბჭომ და კოლმეურნეობამ თავის დროზე ვერ მიიღო სამიწათმოქმედო ორგანოებისაგან ჯუთნების ის რაოდენობა, რომლითაც კავები უნდა შეგვეცვალა. ამის მოლოდინში ზოგმა დაიგვიანა, რამაც ნაწილობრივ ხელი შეუწყო თესვის კამპანიის შეფერხებას. ეს ერთი. მეორე — ზოგიერთ კოლმეურნეობას ჯერაც არ მიუღია სათესლე მასალა, რაც ერთი თვის წინათ უნდა მიეღოთ. ეს სამიწათმოქმედო ორგანოების სუსტ მუშაობას უნდა მიეწეროს. ამას ვხვდებით როგორც გორის, ისე ხაშურის რაიონში.

მიუხედავად ამ გარემოებისა, როგორც გორის, ისე ხაშურის რაიონებს სრული საშუალება ჰქონდათ საშემოდგომო თესვა მოცემულ ვადამდე დაემთავრებინათ, რომ სოფლის საბჭოების და კოლმეურნეობების ხელმძღვანელნი კარგად ემუშავნათ.

აი, მაგალითები.

ალის სასოფლო საბჭოში შემავალმა კოლმეურნეობებმა (ხაშურის რაიონი) თესვის გეგმა ვადამდე შეასრულეს. მაგრამ მის გვერდით არის ლუდას სასოფლო საბჭო, რომელსაც 20 ოქტომბრამდე 1 ჰექტარიც არ ჰქონდა დათესილი. მიუხედავად იმისა, რომ ლუდას ორჯერ ნაკლები ჰქონდა თესვის გეგმა, ვიდრე ალს. ალმა 20 ოქტომბრამდე დაამთავრა თესვა, მაშინ როდესაც ლუდას დაწყებულიც არ ჰქონდა. რით აიხსნება განსხვავება ამ ორ საბჭოს შორის?

არაფერში, გარდა კარგი და ცუდი მუშაობისა. ალის სოფსაბჭოს თავმჯდომარე დღედაღამ განუწყვეტლივ მუშაობდა, სანამ თესვას დაამთავრებდა, ხოლო ლუდის საბჭოს თავმჯდომარე ამხ. კუპრაძე, რომელსაც ერთი ჰექტარიც არა აქვს დათესილი, გორში დასეირნობს. როდესაც რაიკომის მდივანი ეკითხება „დღეს ქალაქში რათა ხარ მოსული, როდესაც თესვა არ დაგიწყიაო“, ის, თითქოს არაფერი არ მომხდარა გულდამშვიდებით უპასუხებს, „ნაწვიმარი იყო და იმიტომ წამოვედიო“. სწორედ ნაწვიმარში ჰქონდათ სხვებს გაჩაღებული თესვა. აი ამ დროს დასეირნობს საბჭოს თავმჯდომარე კომუნისტი, რომელსაც თესვის გეგმის ერთი პროცენტიც არ აქვს შესრულებული.

ასეთსავე სურათს წავაწყდით გორის რაიონში. მეჯვრისხევი მოწინავე სასოფლო საბჭოდ ითვლებოდა არა მარტო გორის რაიონში, არამედ რესპუბლიკაშიაც. როგორ გამოიყურება იგი მიმდინარე საშემოდგომო თესვის კამპანიაში? — მეტად სუსტად, ჩამორჩენილთა სიაშია. იბადება კითხვა: შეეძლო თუ არა მეჯვრისხევს ვადამდე დაემთავრებინა საშემოდგომო თესვა? რასაკვირველია, შეეძლო. საამისოდ ყველა პირობა უწყობდა ხელს.

მაშ რაა მიზეზი? ხელმძღვანელობა. საბჭოს თავმჯდომარე სუსტი მუშაკია. ეს რომ ასე არ იყოს, მაშ რა უპირატესობა აქვთ შინდისის, ატენის, ბერბუკის და სხვა საბჭოებს, რომლებმაც იმავე გორის რაიონში ვადამდე დაამთავრეს საშემოდგომო თესვა? არავითარი!

ამ დეკადა-ნახევრის წინათ ორივე რაიონს დიდი გარღვევა ჰქონდა თესვის გეგმების შესრულებაში. ეს გარღვევა მთლიანად ამჟამადაც არ არის ლიკვიდირებული.

რაიონებმა მხოლოდ უკანასკნელი დეკადის განმავლობაში შეძლეს მთელი ძალების მობილიზაცია. ამის შედეგად 20 ოქტომბრისათვის ასეთი სურათი იყო: ხაშურის რაიონს თესვის გეგმა შესრულებული ჰქონდა 58 პროცენტით, გორის რაიონს — 68 პროცენტით. თავისთავად ცხადია, რაიონებს რომ თესვის ასეთი ტემპი თავიდანვე ჰქონოდათ, გეგმა ვადამდე შესრულდებოდა.

მაგალითად, ხაშურის რაიონს საშემოდგომო თესვის კამპანია 25 ოქტომბრისათვის რომ დაემთავრებინა, ყოველდღიურად უნდა დათესილიყო არანაკლებ 600 ჰექტარისა. ფაქტიურად კი ითესებოდა 222 ჰექტ., რამაც მოგვცა გარღვევა. 16 ოქტომბრიდან მოკიდებული 20-მდე, ყოველდღიურად 800 ჰექტ. ითესება. მაშასადამე, იმთავითვე შესაძლებელი ყოფილა ყოველდღე 600 ჰექტარის თესვა. ამჟამად კი ყოველდღე 1324 ჰექტარის დათესვა ყოფილა შესაძლებელი, რომ რაიონს იმ თავითვე გადამჭრელი ზომები მიეღო. ამრიგად, როგორც გორის, ისე ხაშურის რაიონი საშემოდგომო თესვას ამთავრებენ ც. კ-ის მიერ მიცემულ ვადაზე, გათვალისწინებულ აგროწესების დაცვით, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ახლად ჩამოყალიბებულ კოლმეურნეობებს, სადაც აგრომინიმუმის მთლიანად გატარებას ჯერჯერობით ვერ ახერხებენ.

○

გორის და ხაშურის რაიონებში კოლმეურნეობებმა წელს მტკიცედ და მუყაითად მოჰკიდეს ხელი მესაქონლეობას. სახელმწიფო გეგმა კოლმეურნეობებს, კოლმეურნეებს და მშრომელ ინდივიდუალურ გლეხებს სათანადო ახსნა-განმარტებით მიეცა და არის ყველა მაჩვენებელი, რომ მესაქონლეობის განვითარების სახელმწიფო გეგმა გადაჭარბებით იქნება შესრულებული.

მაგრამ უნდა აღვნიშნოთ ის ნაკლი, რომელიც ახასიათებს როგორც მიწგანის, ისე მტს-ის მომუშავეებს მესაქონლეობისათვის საკვები ბაზის შექმნის საქმეში. სრულებითაც არ კმარა, რომ მსხვილფეხა და წვრილფეხა რქოსანი საქონელი ჩალით და ბზით უზრუნველყოფილია. პროდუქტიულ და მუშა-საქონელს ჩალისა და ბზის ამარა ვერ დავტოვებთ. ბევრგან ადგილობრივ მომუშავეებს კარგად ვერ შეუგნიათ, რომ კულტურული პროდუქტიული მესაქონლეობის განვითარება მარტო ასეთი უხეში საკვებით არ შეიძლება.

მაგალითად, საკვები ბალახების თესვის და სილოსების გეგმა შესრულებული არ არის არც ხაშურის და არც გორის რაიონში. მესაქონლეობის განვითარების სახელმწიფო გეგმა მარტო რაოდენობითი ზრდას როდი ითვალისწინებს, არამედ საქონლის კულტურულად შენახვასაც — მოვლასა და კვებას. სწორედ აქ მოისუსტებენ ქართლის რაიონები. ამას უნდა მიექცეს მიწსახკომის და რაიონის ხელმძღვანელთა ყურადღება, რომ ეს ნაკლი სასწრაფოდ აღმოიფხვრას, სანამ ცოტა დრო კიდევ დაგვრჩენია.

ბინების მშენებლობის და შეკეთების გეგმა რაოდენობრივად შესრულებულია, მაგრამ ხარისხი არ არის დამაკმაყოფილებელი. ორივე რაიონში სარაიონო აქტივიდან გამოყოფილი არიან პასუხისმგებელი ამხანაგები, რომელთა დახმარებით კოლმეურნეობებსა და სასოფლო საბჭოებში 20 ოქტომბრიდან 20 ნოემბრამდე შეჯამებული იქნება შემდეგი სამუშაოები: დამუშავდა თუ არა სასოფლო საბჭოების პლენუმებზე და კოლმეურნეობათა კრებებზე მესაქონლეობის განვითარების სახელმწიფო გეგმა და რა კონკრეტული ზომები დაისახა; რა ვალდებულებები იკისრეს კოლმეურნეობებმა და სასაქონლო ფერმებმა მესაქონლეობის განვითარებისათვის; როგორია სასოფლო საბჭოებში მეცხოველეობის სექციების მუშაობის ხარისხი, არის თუ არა ყველა საბჭოში გამოყოფილი ზოოვეტრწმუნებული და ფაქტიურად რაში გამოიხატება მისი მუშაობა; გაფორმებულია თუ არა სოცშეჯიბრების ხელშეკრულებები მეცხოველეობის განვითარებაზე სოფსაბჭოებსა, კოლმეურნეობებსა, ფერმებს შორის და როგორ სრულდება.

მეცხოველეობის სახელმწიფო გეგმის შესრულების თვითშემოწმებასთან დაკავშირებით უნდა გამოირკვეს დაიყვანეს თუ არა სოფსაბჭოებმა მოზარდის შენარჩუნების გეგმები კოლმეურნეობებამდე და ერთპიროვნულ მეურნეობებამდე მოზარდი საქონლის ცალკეული სახეების მიხედვით და როგორ ხორციელდება ეს გეგმები; როგორაა დაყენებული კოლმეურნეობებსა და სასაქონლო ფერმებში ჯიშიანი მწარმოებლებით დაგრილების საქმე; განთავისუფლებული არიან თუ არა მუშაობიდან ფურ-კამეჩები და მოზარდები; როგორ სრულდება დაგრილების კამპანიის გეგმა და ზუსტად აღირიცხება თუ არა იგი; რა მდგომარეობაშია [illegible] კოლმეურნეებისათვის და სასაქონლო ფერმებისათვის ხბოების შესყიდვა.

ამასთანავე თვითშემოწმების წესით გამორკვეული იქნება კოლმეურნეობების, კოლმეურნეთა და ინდ. მეურნეთა პირუტყვის უზრუნველყოფა უხეში და კონცენტრირებული საკვებით, აგრეთვე სილოსის გეგმის შესრულება და გამოყოფილი საძოვრების მდგომარეობა მათი შემდგომი გაუმჯობესების თვალსაზრისით.

თვითშემოწმება გამოააშკარავებს, რამდენად თბილად და ჰიგიენურად არის შეკეთებული არსებული ბინები, როგორ მიმდინარეობს ახალი ბინების მშენებლობა, რამდენად უზრუნველყოფილია ახლად შემოსული კოლმეურნეების და ახლად ჩამოყალიბებული კოლმეურნეობების მუშა და პროდუქტიული საქონელი ბინით, საკვებით და სხვ.

აი ყველა ის საკითხი, რომელთა დაწვრილებით გამოკვლევა დავალებული აქვთ ერთი თვით სოფლებზე მიმაგრებულ პასუხისმგებელ ამხანაგებს. ამ ამხანაგებმა გამოკვლევის შედეგი ჯერ ადგილობრივ უნდა დაამუშაონ და მიიღონ კონკრეტული ღონისძიებანი ნაკლოვანების ადგილობრივ აღმოსაფხვრელად, ხოლო შემდეგ რაიონში წარადგინონ წერილობითი დაჯამებული მასალები ყველა საკითხზე ცალცალკე, რათა გატარდეს სათანადო ღონისძიებები რაიონში მეცხოველეობის გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულების უზრუნველსაყოფად.

○

საქართველოს კ.პ. (ბ) ც. კ-ის ბიურომ 13 ოქტომბერს აღნიშნა ის ნაკლი, რაც ჭარხლის რაიონებს ახასიათებს. ეს ნაკლოვანებებია გარღვევა ამოღებასა და გაწმენდაში, ჩამორჩენა შაქრის ჭარხლის ჩაბარებაში და სუსტი ბრძოლა დანაკარგთან. აღსანიშნავია მტს-ების სუსტი მუშაობა. ისინი სუსტად ხელმძღვანელობენ კოლმეურნეობებს ჭარხლის ამოღება-გაწმენდასა და მეორეს მხრივ გაწმენდილი ჭარხლის მიმღებ პუნქტამდე დროულად გაზიდვაში. გაწმენდა-გადაზიდვის საკითხზე მტს-ების ხელმძღვანელებმა ნაკლებად შეაწუხეს თავი და მთელი ოპერაცია კოლმეურნეობების თავმჯდომარეებს მიანდეს.

რამდენიმე ადგილზე წავაწყდით ასეთ ფაქტებს: ჭარხლის ამომღები ბრიგადა მიდის და თხრის იმდენ ჭარხალს, რის გაწმენდაც კოლმეურნეობას ორ-სამ დღეს არ ძალუძს. როდესაც კოლმეურნეობის თავმჯდომარე ეუბნება ამომღებ ბრიგადას: „რას შვრებით, ამხანაგებო, რატომ თხრით ამდენს, როდესაც თავის დროზე ვერ გავწმენდავთო“. ბრიგადირი უპასუხებს: „ეს ჩემი საქმე არ არის. შეგიძლია გაწმინდე, გაწმინდე. ჩემი საქმეა მხოლოდ ამოვიღო, მე გაწმენდა არ შემიძლიაო“.

რა არის ეს, თუ არა უთავბოლობა! მანქანას მოვლა და რაციონალურად გამოყენება უნდა, თორემ უთავოდ მას შეუძლია ზიანიც მოგვაყენოს. სწორედ ასეთ უთავბოლო მუშაობით სუსტდება დანაკარგებთან ბრძოლა.

ამ ნაკლზე მივუთითებდა ც. კ-ის ბიურო და დღეისათვის ეს თითქმის გამოსწორებულია. ამოღება-გაწმენდისა და ჩაბარებას შორის, უმნიშვნელო გამონაკლისს გარდა, შეუფარდებლობა აღარ არის. ჭარხლის გაწმენდაზე გამოყენებულია ქალთა და მოზარდთა შრომა.

მართალია, შარშანდელთან შედარებით ჭარხლის მიმღები პუნქტები წელს გაცილებით უკეთეს მდგომარეობაშია, მაგრამ ზოგიერთი (კასპის, გრაკალის და ქარელის) მაინც მეტად სუსტად გამოიყურება. ჩვენ გავაფრთხილეთ ჭარხლის ქარხნის დირექცია, სასწრაფო ზომები მიეღო აღნიშნული პუნქტებიდან ჭარხლის გადაზიდვის მოსაგვარებლად, რომ ამით მინიმუმამდე დავიყვანოთ დანაკარგები.

ქართლის რაიონის ბოლშევიკებმა უნდა დასძლიონ მთელი ძალღონე და საშემოდგომო თესვის სამუშაოთა წარმატებით დამთავრებასთან ერთად მიაღწიონ მეცხოველეობის სახელმწიფო გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებას.

ლ. ხოჯამიროვი

დავიცვათ და გავზარდოთ ტყე

ის უდიდესი როლი, რომელსაც ტყე ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ეკონომიკასა და პოლიტიკაში ასრულებს, სავსებით შეგნებული უნდა ჰქონდეთ ყველა მშრომელს, ყველა კოლმეურნეს, ერთპიროვნულ მეურნეს და განსაკუთრებით იმ ორგანიზაციებს, რომელთაც პარტიამ და მთავრობამ დააკისრეს უშუალო ზრუნვა ტყეზე, მის დაცვასა, განვითარებასა და წესიერ ექსპლოატაციაზე.

სოციალისტური მშენებლობის სწრაფი განვითარება სახალხო მეურნეობის ყველა ფრონტზე, მძიმე მრეწველობა, მსუბუქი მრეწველობა, ახალი რკინიგზების მშენებლობა, სახალხო კავშირგაბმულობა—ფოსტა და ტელეგრაფი, ავეჯის, საფეიქრო, და ქაღალდის მრეწველობა, სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქცია, მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვა და სხვ. ყველა ეს დარგი, თავის განვითარებაში პირდაპირ თუ არაპირდაპირ დამოკიდებულია ჩვენს სატყეო რესურსებზე.

სადაც ხშირი ტყეა, იქ წყალიც უხვადაა. სადაც წყლის სიუხვეა იქ მოსავალიც უხვია, ჰავაც კარგია და მშრომელნიც ჯანმრთელები არიან. ამიტომ არის, რომ ჩვენი პარტია და საბჭოთა ხელისუფლება ასე დაჟინებით, ასეთი მზრუნველობით აყენებენ ჩვენს წინაშე არამარტო მტაცებლური ექსპლოატაციისაგან ტყის დაცვის საკითხს, არამედ ტყის შემდგომი განვითარების გზებისა, სოფლებისა და ქალაქების გამწვანების საკითხსაც.

ვნახოთ, რა მდგომარეობაშია საქართველოს ტყეები და როგორ გაიგეს საქართველოს სათანადო სატყეო ორგანიზაციებმა პარტიის ეს მეტად მნიშვნელოვანი მითითება.

საბჭოთა საქართველოს აქვს 2 ½ მილიონამდე ჰექტარი ტყის ფართობი. ასე რომ ამ მხრივ საქართველო ამიერ-კავკასიის ფედერაციის სილამაზეს და სიამაყეს წარმოადგენს. ტყის სამრეწველო ექსპლოატაციაში ძირითადი გადამწყვეტი წილი საქართველოს ტყეებზე მოდის — წლიურად მზადდება 1660 ათასი კუბმეტრი სამასალე მერქანი და შეშა. ხე-ტყის აღნიშნული რაოდენობა მზადდება 1500 ჰექტარი მთლიან საკაფავ ფართობზე და 12.080 ჰექტარი შერჩევით საკაფავ ფართობზე.

თითქოს დამამზადებელი ორგანიზაციები, განსაკუთრებით კი სატყეო სახალხო კომისარიატი მისი ტყისმეურნეობის განყოფილებების სახით უნდა ზრუნავდნენ იმაზე, რომ მოჭრილი ხეების მაგიერ იზრდებოდეს ახალი არამარტო ტყის ფართობის არსებული დონის შესანარჩუნებლად, არამედ ამ ფართობის შემდგომი გაზრდისათვისაც. მაგრამ მასალები ტყის დაცვისა გაშენების შესახებ, რაც ჩვენ მოგვეპოვება, მოწმობენ ერთგვარ უპასუხისმგებლობას ამ საქმეში.

სატყეო სახ. კომისარიატის სისტემამ, რომელიც მთელი რიგი წლების განმავლობაში აწარმოებს საქართველოს ტყეების ექსპლოატაციას, მხოლოდ 1934 წელს მოჰკიდა ხელი ტყის გაშენების საკითხებს და ისიც არასაკმაოდ. 1934 წელს მთლიანად გაიკაფა 1500 ჰექტარი ტყე, ტყის ახალი ნარგავის ფართობი კი მხოლოდ 367 ჰექტარს აღწევს და ამას გარდა გაშენებულია სანერგე 10,6 ჰექტარზე. სატყეო სახალხო კომისარიატის ორგანოები გაიტაცა ხე-ტყის დამზადების სახელმწიფო გეგმის შესრულებამ. მაგრამ მათ მიივიწყეს ტყის დაცვა მტაცებლური ექსპლოატაციისაგან. ამაში ბრალი მიუძღვით არა მარტო დამამზადებელ ორგანიზაციებს და ადგილობრივ მოსახლეობას, არამედ თვით სატყეო ტრესტსაც. გარდა ამისა, ვინაიდან არ არის საჭირო სამეცნიერო კონტროლი და ტყის ექსპლოატაციას მეთვალყურეობას არავინ უწევს, მთელ რიგ რაიონში შეიქმნა ტყის მასივების მოსპობისა და სტიქიურ უბედურებათა (გვალვა, ნიადაგის გადარეცხვა ნიაღვრისაგან და სხვ.) საფრთხე (კახეთი, ბორჩალო და ტფილისი). სატყეო სახ. კომისარიატის სისტემა რომ სათანადოდ ვერ აფასებს საქართველოს ტყის რესურსების დაცვასა და მისი გაფართოების საქმეს, ამის აშკარა დამამტკიცებელია შემდეგი გარემოება — ნახევარი მილიონი მანეთი, რაც სატყეო სახალხო კომისარიატის სისტემაში გათვალისწინებული იყო ტყის გაშენებისა და აღდგენისათვის, დაიხარჯა არაპირდაპირი დანიშნულებით — იგი ტყის ექსპლოატაციას მოხმარდა.

სატყეო სახალხო კომისარიატმა დღემდის ვერ მოახერხა ტყის მცველთა და სატყეო მეურნეობის მუშაკთა კადრების დაკომპლექტება, რომელნიც ნამდვილად შეიგნებდნენ ამ ამოცანის დიდ მნიშვნელობას და ჩვენს ტყეებს მტაცებლური გაკაფვისაგან დაიცავდნენ. ტყის დარგი მთელ რიგ რაიონებში დანაგვიანებულია.

სატყეო სახალხო კომისარიატის რწმუნებულმა ამიერ-კავკასიაში ანგარიში უნდა გაუწიოს შექმნილ არანორმალურ მდგომარეობას ტყის დაცვისა, განახლებისა და ექსპლოატაციის საქმეში.

სატყეო სისტემის მუშაკებმა არ უნდა შეასუსტონ ხე-ტყის დამზადების სახელმწიფო გეგმის შესრულების ტემპი, მაგრამ ამავე დროს უნდა იცოდნენ, რომ **ტყის ექსპლოატაციას თან უნდა ხდევდეს ტყის აღსადგენი მუშაობა და ტყის დაცვის საუკეთესოდ მოწყობა.** მათ შეგნებული უნდა ჰქონდეთ, რომ ეს უკანასკნელი ამოცანა არავითარ შემთხვევაში არ უნდა ჩამორჩებოდეს ტყის სამრეწველო ათვისებას.

ამ მეტად მნიშვნელოვან საქმეში დიდი პასუხისმგებლობა აკისრია ტყის სახალხო კომისარიატის სატყეო სამეურნეო განყოფილებას, რომელიც პასუხს აგებს საქართველოს 2 ½ მილიონი ჰექტარი ტყისათვის და რომელსაც აქვს ყველა საშუალება და შესაძლებლობა, რომ დასძრას ეს საქმე ნახევრად მკვდარი მდგომარეობიდან, არ დაიწყოს მედიდურობა უმნიშვნელო მიღწევებით, არ იმართლოს თავი „მიზეზით“ და გვიჩვენოს მუშაობის ნამდვილი მაგალითი.

მაგრამ ტყის დაცვისა, განახლებისა და წესიერი ექსპლოატაციის საკითხები წარმატებით მხოლოდ იმ შემთხვევაში გადაწყდება, თუ ამ საქმეში ჩაბმული იქნება ტყის დამამზადებელი ყველა ორგანიზაცია („ზაკლესტრესტ“, კურორტთა სამმართველო, რკინიგზა, სატყეო-სამრეწველო მეურნეობა, სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატი და სხვ.).

ჩვენი სამეცნიერო საკვლევო ორგანიზაციებისა და მეცნიერ მუშაკთა ამოცანას უნდა შეადგენდეს გლეხებისათვის დაუღალავი ახსნა-განმარტება იმისა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ტყეების დაცვას მშრომელთა მატერიალურ-ყოფაცხოვრების პირობებისა და ქვეყნის კეთილდღეობის გაუმჯობესება ამაღლებისათვის.

ფოტო ხერიძისა

ფაბრიკა „მქერავი № 6. კომკავშირელთა კონსულტაცია ამხ. ბერიას მოხსენების მეოთხე განყოფილებაში. სურათზე: პროპაგანდისტი ქალი ამხ. ბერძენიშვილი კონსულტაციას აძლევს ფაბრიკის კომკავშირელ მუშებს (მარჯვნიდან—მარცხნივ) ამხ. ხორხომელიძე, ბალდასაროვა, ზახაროვა და დოლიძე.

რას იტყვის ონის რაიკომი?

სოფ. გლოლის სას.-სამ. არტელი, რომელიც 1930 წ. ჩამოყალიბდა, 150 კომლს აერთიანებს. აქვს სარძეო-სასაქონლო ფერმა 82 ძროხით. კოლმეურნეობაში განსაზოგადოებული იყო აგრეთვე 140 ჰექტარამდე სახნავ-სათესი მიწა, 400 ჰექტარზე მეტი სათიბი, 200 სული საუკეთესო ხარი და სხვ. ერთი სიტყვით, კოლმეურნეობას ჰქონდა და აქვს შეუჩერებელი ზრდისა და შეძლებული ცხოვრების საშუალება. მაგრამ ხელმძღვანელობის საქმეში მას თავიდანვე „ბედი არ სწყალობს“. აქ საკოლმეურნეო ქონების გატაცებას, განიავებას და უყაირათობას სისტემატური ხასიათი აქვს.

კოლმეურნეობაში შექმნილი არაჯანსაღი მდგომარეობის გამოსარკვევად მიმდინარე წლის ივნისში ერთ კვირაზე მეტს მუშაობდა სარაიონო კომისია. ამ კომისიის აქტი წარმოადგენს იმის ნიმუშს, თუ როგორ არ უნდა არკვევდნენ კოლმეურნეობის საქმიანობას. — „კომისიამ კოლმეურნეობაში შემჩნეული დეფექტები შეძლებისდაგვარად გამოასწორაო“, — ამშვიდებს კომისია სარაიონო ორგანიზაციებს.

განვიხილოთ, როგორ არის საქმეები „გამოსწორებული“ ამ კოლმეურნეობაში.

კოლმეურნეობას არა აქვს საწარმოო გეგმა და ფულადი შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვა. კოლმეურნეობაში არ მოიპოვება წარსული წლების არც წლიური ანგარიშება, არც მოსავლისა და შემოსავლის განაწილების არავითარი საბუთები. „ალბათ დაიკარგებოდაო“ — აცხადებს თავმჯდომარე და სრულიად არ გრძნობს უხერხულობას, როცა მასთან კოლმეურნეები ჩივიან გასული წლის შრომადღეებში ანგარიშების გაუსწორებლობაზე.

— „ძველი მოანგარიშე სადღაც გაიპარა და ჩემთვის არაფერი არ დაუტოვებიაო“ — იმართლებს თავს თავმჯდომარე ბერიშვილი.

ახალი მოანგარიშე ცდილა აღედგინა ზოგიერთი საბუთი და აქ კოლმეურნეობის პროდუქციის განიავების ახალი ნიშანი აღმოჩნდა.

ფერმიდან გადაგზავნილ 2550 კილოგრამ ყველიდან კოლმეურნეობის საწყობში შემოსულა მხოლოდ 1850 კილოგრამი. დანარჩენის ბედი გამოურკვეველია. იმ 1850 კილოგრამ ყველიდანაც კი, რომელიც კოლმეურნეობის საწყობში შევიდა, 550 კილო მიცემულია „სხვადასხვა ხარჯებში“ (მოსულ ხალხს 45 კილო, კოოპერატივს საპალმირა, საპნის და სხვა საქონლისა, რომელიც კოლმეურნეობაში არავის უნახავს — 40 კილო, სას. საბჭოს თავმჯდომარის განკარგულებით — 50 კილო, საქმეებს ქირა 4 კილო და ა. შ.).

2940 კილო ყველიდან და 934 კილო კარაქიდან, რომელიც 1-ლ იანვრიდან 1-ლ სექტემბრამდეა მიღებული, გაცემულია ავანსი შრომადღეების ანგარიშში მხოლოდ 600—700 კილოგრამი ყველი, ისიც არა გამომუშავებული შრომადღეების, არამედ საჭიროების და გამგეობის თავმჯდომარესთან პირადი განწყობილების მიხედვით.

ავანსირების ასეთმა პრაქტიკამ და აგრეთვე თვის განაწილების სრულიად მიუღებელმა წესმა შრომადღის ავტორიტეტი ისე დასცა კოლმეურნეთა და თვით კოლმეურნეობის „ხელმძღვანელთა“ თვალში, რომ ყველა სამუშაო გარდა თიბვისა და ფერმაში მუშაობისა, სრულდება კოლმეურნეობის მიერ... დაქირავებული შრომით! მაგალითად, საწყობში მუშაობის, ფერმიდან ყველის გადმოზიდვის, მასალის გადატანის, კალოს შეკეთების და სხვა სამუშაოთა შესრულებისათვის დღეში ერთნახევარ ან ორ კილო ყველს აძლევენ. სარევიზიო კომისიის წევრები რევიზიის დროს და ზოგჯერ თავმჯდომარეც კი ფერმაში წასვლისათვის ყველს ღებულობდნენ.

შემოდგომის პურები, რომელიც კოლმეურნეობას წელს კიდევ შერჩა, თუ მთლიანად არა, ნახევარზე მეტი დაიკარგა; პურის ნაწილი სამუშაოებზე გამოუსვლელობის გამო აუღებელი დარჩა და გაფუჭდა, ხოლო აღებული პური მინდორში ჩაცვივდა და ნაწილობრივ დალპა.

— გამოუწერე ნორმა პური მალაქია ჯიქიაშვილის, სერგო ბერიშვილის და მალაქია აზანიშვილის ხარჯზე, რომლებიც დაჯარიმებული არიან ხუთ-ხუთი შრომადღით და მათი ხვედრი პროდუქტები მიეცი თითა სულთანიშვილს კალოს გაკეთებაში ჯილდოს სახითო“ — აძლევს თავმჯდომარე განკარგულებას მოანგარიშეს.

როცა ვეკითხებით თავმჯდომარე ბერიშვილს, თუ რისთვის ან ვინ დააჯარიმა, იგი აცხადებს: „პარტორგის მოწერილობით დავაჯარიმეთო“.

დამახინჯებულია აგრეთვე ფერმაში მწველავთა დაჯილდოების წესიც. მწველავი მაგდანა ბერიშვილი ხუთი წელია ფერმაში მუშაობს. მასზე მიმაგრებული ყველა 12 ძროხის ნამატი ორი თვის ასაკისა სრულიად ჯანსაღი გადასცა მომვლელს და არ დაუჯილდოებიათ. ხოლო ვერიკა გავაშელიშვილი, რომელსაც 11-დან 2 ხბო მოუკვდა, დააჯილდოვეს ერთი ხბოთი. ესეც ყოველგვარი დადგენილების გარეშე.

1935 წელს სულ მოიწვიეთ გამგეობის სხდომა ერთხელ და საერთო კრება ერთხელ. კოლმეურნეობის თავმჯდომარე ბერიშვილმა არც კი იცის გამგეობის წევრთა შემადგენლობა და ყველა საკითხს იგი ერთპიროვნულად სწყვეტს. მაგალითად, ბერიშვილმა გაყიდა კოლმეურნეობის ბოსელი 45 ათას მანეთად და ამ ფულით ახალ ბოსელს აშენებს (აქაც ყოველგვარ სამუშაოს კოლმეურნეობა ასრულებს მხოლოდ დაქირავებული შრომით — ფულზე), ისე რომ ეს საკითხი არც ერთხელ არ დაუსვამს არც გამგეობის და არც საერთო კრებაზე. ფული კი სრულიად უკონტროლოდ იხარჯება.

ს. გლოლას კოლმეურნეობის წესდებაში, რომელიც ონის რაიაღმასკომმა გაატარა რეგისტრაციაში და ოქმიდან სათანადო ამონაწერიც დაუბრუნა კოლმეურნეობას, წესდების იმ ნაწილში, სადაც პირად სარგებლობაში გამოსაყოფი საკარმიდამო მიწის ოდენობა უნდა ჩაიწეროს, სწერია: „მიწები ამ კოლმეურნეობაში არ განსაზოგადოვდებაო“, ეს იმ დროს, როცა ონის რაიონისთვის საკარმიდამო მიწის ნორმა განსაზღვრულია 9,25-დან 0.75 ჰექტარამდე.

რას ფიქრობენ ონის რაიონის ხელმძღვანელი ორგანოები. ნუთუ ყველა ეს ფაქტები სოფ. გლოლას კოლმეურნეობის შესახებ არ ღირს იმად, რომ მას სერიოზული ყურადღება მიაქციოს საქართველოს კ.პ. (ბ) ონის რაიკომმა?

შ. ჭელიძე

ფოტო გუდეშკისა

კალინინის სახელობის ქარხანა. ფართო მოხმარების საამქროს კომკავშირელთა ბრიგადის ფრიადოსანი. მარცხნიდან მარჯვნივ ზეინკლები: ამხ. მათევოსიანი—ბრიგადირი. ათაბეგოვი, ნადირაძე და გალუსტიანი (რაისაბჭოს წევრი) მთელი ბრიგადა გადამეტებით ასრულებს გეგმებს.

პიერ ვორმსი

პარიზის მხატვრული სკოლა*)

ხუთი წელიწადი გრძელდება ის კრიზისი, რომელიც თავს დაატყდა პარიზის მხატვრულ სკოლას, ამ ხელოვნების კოსმოპოლიტურ-სექციას, რომელიც ცოცხლობს თანამედროვე ფრანგული მხატვრობის წიაღში, მაგრამ ამ ხუთი წლის განმავლობაში თავი იჩინა პლასტიური ხელოვნების ტენდენციების დამახასიათებელმა ევოლუციამ, რომლის გვერდით თვით ხელოვანთა ცხოვრების პირობებში მძაფრი ცვლილებები ხდებოდა.

საბჭოთა მხატვრული წრეები, სამწუხაროთ, კარგად ვერ იცნობენ საფრანგეთის ხელოვნების მდგომარეობას უკანასკნელი წლების განმავლობაში. საკმაო ცნობების უქონლობის გამო ისინი ფიქრობენ, რომ მოსკოვის „ახალი დასავლეთის ხელოვნების მუზეუმში“ თავმოყრილი შედევრები დღესაც სწორად ასახავს თანამედროვე ფრანგული მხატვრობის მთავარ ტენდენციებს. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ საბჭოთა კავშირში და ისიც მხოლოდ მოსკოვში ერთხელ მოეწყო თანამედროვე ფრანგული ხელოვნების გამოფენა. ამ გამოფენას უნდა ეჩვენებინა ის გზა, რომელიც ცოცხალი ხელოვნების ოსტატებმა განვლეს. იმ ეპოქის შემდეგ, როცა შჩუკინის და მოროზოვის კოლექციები**) შეგროვდა, ეს ერთად ერთი კოლექციები მთელს მსოფლიოში იმ ცვლილების ასასახავად, რომელიც ფრანგულ მხატვრობაში მოხდა ომის წინა პერიოდში მაგრამ ეს კოლექციები აღარ ახასიათებენ ჩვენი დროის საფრანგეთის მხატვრულ პროდუქციას.

იმ ტრიუმფის შემდეგ, რომელიც რევოლუციურმა ესთეტიურმა კონცეფციამ მოიპოვა, იმ მსოფლიო გამარჯვების შემდეგ, რომელიც ახალგაზრდა ოსტატებმა პიკასომ, მატისმა, მარკემ, ბრაკმა, დერენმა და სხ. მიაღწიეს, თავი იჩინა ერთმა დამახასიათებელმა მოვლენამ: კუბისტების პატარა ჯგუფისა და სხვა მეტად თუ ნაკლებად აბსტრაქტული თეორიების მიმდევრების გამოკლებით ახალგაზრდა ოსტატების უმრავლესობამ მოთხოვნილება იგრძნო უფრო კონკრეტულ მხატვრულ სფეროში გამოეყენებია თავისი ტექნიკური აღმოჩენები: მატისმა, დერენმა, მარკემ და სხ. თითქო ლაგამი ამოსდვეს თავიანთ ამბოხებულ სულს და ნელნელა დაუბრუნდნენ იმ ძალოვანი და ნატიფ, დამოუკიდებელ ფრანგულ ხელოვნების ტრადიციას, რომელიც XIX საუკუნის მანძილზე დელაკრუადან და კოროდან დიდი იმპრესიონისტებისა და სეზანისკენ მიდის.

მაგრამ პარიზის მხატვრული სკოლის მთავარი ტენდენციების ევოლუციაში კიდევ ერთმა მნიშვნელოვანმა მოძრაობამ იჩინა თავი. სულ ბოლო დრომდე ცოცხალი ხელოვნების წარმომადგენლები აკადემიური ხელოვნების წინააღმდეგ მხოლოდ ფიგურების, პეიზაჟების და ნატიურ მორტების მხატვრობას აქცევდნენ ყურადღებას და სისტემატიურად თავს იკავებდნენ მრავალ პერსონაჟიანი კომპოზიციების, აგრეთვე სიმბოლურ პერსონაჟიანი სურათებისაგან ერთი სიტყვით იმ ტილოებისაგან, რომელსაც ჩვეულებრივ „ჟანრის მხატვრობას“ უწოდებენ.

ახალგაზრდა მხატვრობის ამ ცრუმორწმუნეობას „ჟანრის მხატვრობის“ წინააღმდეგ მოჰყვა ის, რომ „ლიტერატურად“ ინათლებოდა ყოველი ცდა მხატვრობაში, რომელიც მიზნად ისახავდა უფრო რთული კომპოზიციის შექმნასა და ინტერპრეტაციას ვიდრე ფიგურა, პეიზაჟი და ნატიურ მორტია. რამდენი ტანჯვა განიცადა, მაგალითად, ამ ცრუმორწმუნოების წყალობით მაზერელმა, როცა ის შეეცადა დაეხატა ბიუროების ინტერიერები, მუშების გამოსვლა ქარხნიდან, ქუჩებისა და ნავთსადგურების სცენები!

მაგრამ თანდათან ერთმა მოძრაობამ იჩინა თავი პარიზის სკოლის ახალგაზრდა მხატვრებს შორის. ბრძოლა გამოეცხადა ამ ცრუმორწმუნოებას „საჟანრო სურათის“ წინააღმდეგ, „ლიტერატურული სიუჟეტის“ წინააღმდეგ. ამ ახალგაზრდა მხატვრებმა გადასწყვიტეს დაემტკიცებინათ, რომ მდიდარი ტექნიკით შეიარაღებულ თანამედროვე ხელოვანს შეუძლია ხელი მიჰყოს ფართო კომპოზიციებს, სიმბოლურ კომპოზიციებს და მაღალი ხელოვნების ნაწარმოები მოგვცეს.

1934 წელს პარიზში მოეწყო გამოფენა ლოზუნგით: „დაბრუნება სიუჟეტისკენ!“ აქ გამოიხატა პირველად ის საერთო სული, რომელიც მრავალ თანამედროვე მხატვარს ახასიათებს, მაზერელს, ლე ფოკონიეს, სალვადოს და სხ. გამოფენამ დიდი კამათი გამოიწვია, მოწონება ერთი მხრით, წინააღმდეგობა მეორე მხრით. მაგრამ საერთოდ საზოგადოებამ და პრესამ დასტური დასცა დამოუკიდებელი მხატვრობის გამდიდრების ამ ცდას. ამის შემდეგ ფრანგული ხელოვნების გამოჩენილმა კრიტიკოსმა კლოდ როჟერ მარქსმა მოაწყო უფრო ფართო გამოფენა, „სიუჟეტის რეაბილიტაციის“ სახელწოდებით, რათა დაემტკიცებინა, რომ დიდი ფრანგული მხატვრობის მოწინავე რაზმებში მეჩვიდმეტე საუკუნიდან მეცხრამეტე საუკუნის დასასრულამდე ყოველთვის მოიპოვებოდნენ არა აკადემიოსი მხატვრები, საკმაოდ გაბედულნი, რათა შეჭიდებოდნენ დიდი ფერადწერითი კომპოზიციების მწვავე პრობლემებს ერთი სიტყვით სიუჟეტისთვის დაწყებული ბრძოლა მოგებული იყო.

ამ დროს კაპიტალისტური მსოფლიოს კრიზისმა მძაფრად შეარყია დასავლეთ ევროპის და განსაკუთრებით პარიზის ხელოვანთა წრეების მდგომარეობა; დიდ კოლექციონერებს შეუმცირდათ თავიანთი შემოსავალი, მათ არა თუ შესწყვიტეს სურათების შეძენა, პირიქით, მათი გაყიდვა და განიავებაც დაიწყეს; სურათების გამყიდველებმა ან ყოველი ინტერესი დაჰკარგეს თანამედროვე მხატვრობისადმი ან [illegible], [illegible] და დახურეს თავიანთი გალერეები; მაღაზიები გაივსო გასაყიდი კოლექციებით, ამიტომ სურათების ფასებმა, რომელიც ათი წლის განმავლობაში ნელნელა ზევით იწევდა, ერთი დაკვრით ძირს დაეცა უზარმაზარი მიწოდებისა და მცირე მოთხოვნის ზეგავლენით.

მხატვრებს შავი დღეები დაუდგათ: მათ თავს დაატყდათ სიღარიბე. მხატვრული შემოქმედების უსარგებლობის შეგნება, მასალის უქონლობა, სურათები იშვიათად იყიდება, ისიც სასაცილო ფასებში, უმუშევართა დახმარება იმდენად მცირეა, რომ ადამიანი სულს ძლივს ღაფავს.

ამ ახალმა ატმოსფერომ, რასაკვირველია, გავლენა იქონია მხატვრებისა და მოქანდაკეების პროდუქციის, ხასიათზე. „ბოჰემური ცხოვრების“ სტილი მოძველდა. მხატვრები დარწმუნდნენ, რომ მათი პროდუქცია მათი დროის სოციალური ცხოვრების ფუნქცია ყოფილა. კაპიტალისტური საზოგადოების წინააღმდეგობანი თვალსაჩინო გახდნენ მრავალთათვის, ბევრმა ხელოვანმა გადასწყვიტა სოციალურად და ესთეტიკურად დაახლოვებოდა პროლეტარიატს. ამით აიხსნება ის წარმატება, რომელიც სწრაფად მოიპოვა „რევოლუციონერ ხელოვანთა და მწერალთა ასოციაციამ“. მას მიემხრო რამდენიმე გამოჩენილი ოსტატი — განსვენებული სინიაკი, ლიურსა, ოზენფანი, ლეჟერი, ლეფოკონიე, მაზერელი, გრომერი და სხ., და მრავალი ახალგაზრდა ხელოვანი.

პარიზის სკოლას 1935 წელს, მაშასადამე, ახასიათებს ერთგვარი სტაბილიზაცია ფორმალურ მიღწევათა სფეროში, უფრო ფართო და უფრო შინაარსიანი კომპოზიციის ძიება და მისწრაფება აქტიური ფუნქციის დამყარებისა სოციალურ ცხოვრებასთან. მიუხედავად მრავალი მოწინააღმდეგის ტენდენციური მტკიცებისა პარიზის სკოლა გასცილდა 1910 წლის ტექნიკურ ძიებათა საფეხურს: კუბიზმსა და ფოვიზმს*). კრიზისმა ახალი გზების ძიება გამოიწვია, რომელნიც დაშორებული არიან აკადემიზმის მიერ გატკეპნილ გზებს.

◆

---

*) ავტორი ცნობილი ფრანგი სამხატვრო კრიტიკოსია, საბჭოთა კავშირის მეგობარი ამას წინათ ტფილისში ყოფნისას მან დასწერა ეს წერილი სპეციალურად „კომუნისტისათვის“.

რედ.

**) როგორც ცნობილია, მოსკოვის „ახალი დასავლეთის ხელოვნების მუზეუმი“ შჩუკინის და მოროზოვის კოლექციების შეერთებიდან შეიქმნა.

რედ.

*) ფოვისტები — „ველურები“, „უკიდურესი მიმართულების“ მიმდევრები ხელოვნებაში.

მ. ბაჟანი

კიროვი

პროლოგი

კასპიის მიწა მზით დამწვარა, დაკორძებულა,
უდაბნოს გაღმა ყვავილობენ ქართლის ბაღები.
ითქვება ტბები ცხელ მიწაში დამცხრალ ტალღებით, —
ბრეცავით დაძრულან ბაქოს ქარი რისხვისებურად!
ეს ქარი შეხვდა მაღალ დროშებს ველური ხვნეშით! —
კიროვის დროშა ქარს შეება ფრთების ფართქალით...
და ამ ქვიშნარზე, ამ გაჩენილ ხმელ ბალახებში
მხედ მიიწევდა დამთურგვნული ქუსლი სარდალის.
აქ შედგა მხოლოდ ერთი წამით, და ძირს დაიგო
მან თოფის წამლით გაჟღენთილი შავი ნაბადი, —
იდგა ბრძოლის წინ გამობრძმედილ ჯარში და იყო
ძმა, ამხანაგი,
სარდალი და ბელადი მათი.
იგივ ქართველი, დონბასელი, ლეკი და თურქი
შემოკრებილან ეხლა მასთან და ძმად ეგულვით!
ხრიოკი მიწა გდია როგორც აქლემის ზურგი
და შორით ომის ზღვა და ღამე შეგუბებული.
სადღაც გუშაგის ნაბიჯებიც ბნელში არსებობს
რომ ჩუმად ზომის მდუმარება და სივრცე ბნელი...
სერზე კი ისევ კიროვი დგას და მის გარშემო
ალმურით სურნელის ქანგის ფერი უდაბნო ველი.
უდაბნო ველნი გადასულნი ჰორიზონტს იქით,
რომელთაც ნავთის თავადების ხელნი ფარავდნენ; —
მდუმარებს თვალწინ გაწოლილი... და ხედავს იგი:
სურახანიდან
ბურგუშეთით
განჯის კარამდე
მიწაზე გართხმულ მიწურ ქოხებს და მარად ჩაგრულ
ველურ ცხოვრებას მიტოვებულს ქარის ამარად,
ჭამა-სმისა და ძილისათვის მიწაში ჩადგმულ
ქვითკირის ყუთებს, — დამონებულთ თავშესაფარად,
სადაც ნეხვში და ქეჩ-ნახევში იბადებიან
სადაც სიკვდილი სიხარულზე მეტჯერ ყოფილა! —
სასოწარკვეთილ ოჯახს ყველი ჩაუკვეთია
და ქერის ხმელი ლავაშებიც გამოცხობილა! —
ეხლა იქ აღსდგა უკვე ხალხის ამოძახილი,
ხედავს ქოხები თვალებივით ახელენ კარებს, —
აიწევს ზურგი სიბნელეში დაბლა დახრილი,
ჯარის ყიჟინა იმედივით მიჰყვება ქარებს! —

. . . .

მან ქარში თვალი გააყოლა ტყვიის გასროლილს,
ნახა გაგმირულ ოფიცერის ხმალის მოქნევა,
შეხვდა დაშნაკურ მაუზერის სულთმობრძავ სლოკინს
და მუსავატთა ბრბოების რბევას.

მთარგმნელი კარლო კალაძე.

როდემდის უნდა ველოდოთ?

„კომუნისტი“ მუშებისა და კოლმეურნეებისგან ყოველდღე მრავალ მამხილებელ წერილს იღებს. ყველა მათი დაბეჭდვა, რასაკვირველია, გაზეთს არ შეუძლია. მით უფრო, რომ ბევრი მათგანი საჭიროებს გამორკვევას და ადგილზე ზომების მიღებას.

ამიტომ რედაქცია შემოსული წერილების უმეტეს ნაწილს გამოსარკვევად სხვადასხვა რაიონულ და რესპუბლიკურ ორგანიზაციებს უგზავნის.

ცნობილია, რომ პარტიულმა, საბჭოთა, სამოსამართლო და სხვა ორგანიზაციებმა დახმარება უნდა გაუწიონ რედაქციას მუშსელკორთა წერილების შედეგიანობისათვის ბრძოლაში, ბოროტმოქმედებათა აღმოფხვრაში და დამნაშავეთა დასჯაში. მაგრამ ზოგიერთი ორგანიზაცია უგულებელყოფს მამხილებელი წერილების უდიდეს მნიშვნელობას გამფლანგველებთან, ქურდებთან და წამგლეჯებთან ბრძოლაში. მამხილებელ წერილს არ მისდევენ კვალში, არ ამოწმებენ მის შინაარსს და არც რედაქციას აცნობებენ რაიმეს. რედაქცია კი მთელი თვეობით ამაოდ ელის პასუხს გაგზავნილ წერილებზე. ამით ფერხდება მხილების ბოლომდე მიყვანა და შესაფერი შედეგიანობის მიღწევა.

მამხილებელ წერილების უგულებელყოფის მაგალითი მრავალია ლანჩხუთის რაიონში. უპასუხო წერილების ყველაზე მეტი რაოდენობა მასზე მოდის. ლანჩხუთის რაიონის საბჭოთა და საგამომძიებლო ორგანოები თავს არ იწუხებენ პასუხის მოსაწერად მაშინაც კი, როცა მათ ადგილზე უკვე მიიღეს ზომები გადაგზავნილი წერილების ირგვლივ და საქმე დაამთავრეს.

„კომუნისტის“ და „დამკვრელი კოლმეურნის“ კორესპონდენტთა რეიდმა გამოარკვია, რომ ლანჩხუთის პროკურატურამ „კომუნისტის“ გაგზავნილ 11 წერილში 8 წერილი შეამოწმა და ზომებიც მიიღო, მაგრამ პასუხის მისაწერად „დრო ვერ იშოვა“ ამით რედაქციას საშუალება წაართვა შეემოწმებია წერილების შედეგიანობა.

გარდა ამისა ლანჩხუთის პროკურატურა ერთგვარ გაუბედაობას იჩენს მამხილებელ წერილების რკვევაში, როცა საქმე პასუხისმგებელ მუშაკებს ეხება.

აი მაგალითი: რაიპროკურორს გადაეგზავნა წერილი სათაურით: „სად არის მოწაფეების ფული“?, მოწაფეების ფულის მითვისებაში ბრალი ედებოდა ლანჩხუთის საშუალო სკოლის დირექტორს კუნჭულიას. პროკურორმა ამხ. ფირცხალაიშვილმა გვერდი აუარა საქმის უშუალოდ გამორკვევას, მან მხოლოდ მონაწილეობა მიიღო რაიკომის მიერ გამოყოფილ კომისიაში. ბრალდება დადასტურდა და კუნჭულია მოიხსნა თანამდებობიდან. შემდეგში პარტდოკუმენტების შემოწმებამ გამოარკვია, რომ კუნჭულია პარტიის რიგებში შემძვრალი კულაკი იყო და ის გაირიცხა პარტიიდან. ამრიგად პროკურორი კვალდაკვალ ვერ მიჰყვა მამხილებელ წერილს და ვერ შეძლო კულაკის გამოაშკარავება.

მუშსელკორთა მამხილებელ წერილების უგულებელყოფას ხშირად თვით რაიპარტკომიც კი იჩენს. რაიკომში გაგზავნილ 6 წერილიდან 2 წერილის გზაკვალიც ვერ ვიპოვნეთ. მაგალითად, რაიპარტკომს გაეგზავნა წერილი სათაურით: „მოწაფეები სკოლიდან გარბიან“. ავტორი აღნიშნავდა, რომ აცანის არასრული საშუალო სკოლის მასწავლებელი ი. მეგრელაძე მოწაფეებს სცემს. რაიკომმა ეს წერილი განათლების განყოფილებას გადასცა, ამან კი წერილი სადღაც გააქრო. რაიკომი სრულიადაც არ დაინტერესდა იმ წერილში აღნიშნული ფაქტების შემოწმების შედეგით. ახლა რაიგანათლების განყოფილების გამგე ამხ. ჯორბენაძე ზეპირად აცხადებს: მეგრელაძე კარგი მასწავლებელია, მოწაფეებისთვის არ უცემია, მასწავლებლები ერთიმეორეს ეკენკლავებიან და ერთმანეთს ცილს სწამებენო. თუ ეს მართალია, მაშინ უფრო მეტად იყო საჭირო ამ საქმეში ჩარევა და ამ არანორმალური მდგომარეობის ძირიანად აღმოფხვრა.

ლანჩხუთის რაიაღმასკომიც არ აქცევს ჯეროვან ყურადღებას გადაგზავნილ მამხილებელ წერილებს. მას ა.-წ. 11 აგვისტოს გაეგზავნა წერილი სათაურით: „რატომ არ მუშაობს სამკითხველო“. წერილში აღნიშნული იყო მთელი რიგი სამკითხველოების უმოქმედობა და კულტურულ-მასობრივი მუშაობის სისუსტე. ეს წერილი აღმასკომმა განათლების განყოფილებას გადასცა, რომელმაც მთელი თვის განმავლობაში არაფერი გააკეთა წერილის შესამოწმებლად.

უფრო ნაკლები ყურადღება ექცევა ადგილობრივ რაიონულ გაზეთებში მოთავსებული წერილების შედეგიანობას. რამდენიმე მაგალითი: რაიონულ გაზეთ „დამკვრელ კოლმეურნეში“ მოთავსებული იყო წერილი ნიგვზიანის სოფლის საბჭოდან. იქ ნათქვამი იყო, რომ სამკითხველო მოთავსებულია სრულიად უვარგის ბინაში, ხოლო კლუბი ხილის პუნქტის განკარგულებაში იმყოფება. მიუხედავად იმისა, რომ წერილის გამოქვეყნებიდან საკმაო დრო გავიდა, მას არავინ გამოეხმაურა. არავინ გამოეხმაურა აგრეთვე ნიგვზიანის კოლმეურნეობის შესახებ მოთავსებულ წერილს, რომელიც მოუთხრობდა მკითხველს: 5 თვეა არტელს ფოსტის დამტარებელი არა ჰყავს და მოსული ჟურნალ-გაზეთები ფოსტა ტელეგრაფის განყოფილებაში ყრიაო.

აღნიშნული ფაქტები აშკარად გვიჩვენებს, რომ მამხილებელ წერილებს დღემდე ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა. გადაჭრით უნდა მოვაჩვიოთ ყველა რაიონული, საბჭოთა და საკოლმეურნეო ორგანიზაციები გულისხმიერად მოეპყრან მუშსელკორთა მამხილებელ, როგორც გამოქვეყნებულ, ისე გამოუქვეყნებელ წერილებს და მიიყვანონ ისინი ბოლომდი.

ლანჩხუთის რაიონულმა ხელმძღვანელმა ორგანიზაციებმა წესად უნდა შემოიღონ გადაგზავნილ წერილებზე პასუხის გაცემა და რაც მთავარია, მამხილებელ წერილებისადმი მათ უნდა გაამახვილონ ყურადღება. ყოვლად დაუშვებელია მშრომელთა წერილების უყურადღებოდ დატოვება.

რეიდის მონაწილენი:

ა. შუჯაბიძე ნ. აბუთიძე. ლ. გუგულაძე. ი. ჩახვაშვილი. ნადია ხუხუნაიშვილი. ნაკაიძე. შ. ორაგველიძე ვ. წილოსანი. გ. ჩიგოგიძე, ლ. ჯავახაძე.

ტრამვაის ვაგონების რეკონსტრუქცია

ტრამვაის ფართოლიანდაგიან ხაზებზე ვაგონების სიმცირე განსაკუთრებით საგრძნობი ხდება მეხუთე და მეექვსე სამარშრუტო ხაზებზე. ამ ხაზებზე მუშაობს ყოველდღიურად ხუთ-ხუთი წყვილი ვაგონი, რაც სანახევროდაც ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას და იწვევს ვაგონების დიდ ზედმეტ დატვირთვას. ამავე დროს ვიწროლიანდაგიან ხაზებზე ვაგონები არა საკმაო დატვირთვით მუშაობენ მათი სიმრავლის გამო.

ტრამვაის დირექცია იძულებული გახდა დაეწყო ვიწროლიანდაგიანი ვაგონების გადაკეთება ფართოლიანდაგიანი ვაგონების ზომაზე. ტრამვაის სახელოსნოებში საამისოდ ჩამოაყალიბეს ცალკე ბრიგადები, რომლებიც უკვე შეუდგნენ ვაგონების გადაკეთებას. ამჟამად გადაკეთებულია და ხაზებზე მუშაობს 5 რეკონსტრუირებული ვაგონი. ახლო ხანში დამთავრდება კიდევ 8 ვაგონის გადაკეთება. სულ ტრამვაის დირექცია წელს გამოუშვებს 14 რეკონსტრუირებულ ვაგონს.

რაიონებში

დავიწყეთ ციტრუსოვანთა კრეფა

აჭარისტანის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის პირველმა სუბტროპიკულმა მეურნეობამ, როგორც შარშან, ისე წელსაც პირველობა მიიღო აჭარისტანის საბჭოთა მეურნეობებს შორის.

ჩაი აგროწესების დაცვით იქნა მოვლილი. არამარტო წლიური გეგმა 60 ტონის რაოდენობით, არამედ დამატებით მიღებული 10 ტონაც 12 ოქტომბრისათვის 110 პროცენტით შესრულდა. პირველი ხარისხის ჩაი მოკრეფილ იქნა 95 პროც. რაოდენობით.

იწყება ციტრუსების კრეფა. მეურნეობამ კი წელს ჩვენს ქვეყანას უნდა მისცეს 8.311.000 ცალი მანდარინი, 20.500 ცალი ლიმონი, 23.000 ცალი ფორთოხალი და სხვა სახის ციტრუსების ნაყოფი 10.000 ცალი. საწყობები მზად არის. შეძენილია 150 ახალი კალათი, 30 გოდორი, 200 სეკატორი. უკვე იწყებს მუშაობას კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები ახალ მუშებისათვის. დანაკარგის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით შექმნილია 46 საგუშაგო.

26 ოქტომბერს დაიწყო მანდარინის კრეფა.

მ. გოლიაძე

□

სოია იკარგება

წალენჯიხის რაიონის თითქმის ყველა სოფელში სოიის აღება არადამაკმაყოფილებელი ტემპით მიმდინარეობს. მოსავალი იკარგება. საფრთხე მოელის წლიური გეგმით გათვალისწინებულ 1020 ცენტნერ სოიის სახელმწიფოსათვის ჩაბარებას.

სოიისათვის არც საწყობია მზად. დამზადების რაიკანტორა (გამგე ამხ. გერგედავა) შეუწყნარებელ უმოქმედობას იჩენს. საჭიროა საქმეში რაიონის ხელმძღვანელ ორგანოთა დაუყოვნებლივ ჩარევა.

ვლ. ზარქუა

შეძლებულობის გზით

ბორჯომი. სოფ. ძვირის კოლმეურნეობა რაიონში მოწინავედ ითვლება. წელს აქ დიდად გაიზარდა მოსავლიანობა. ამ დღეებში გაანაწილეს მოსავალი და შრომადღეზე მოდის 10 კილოგრამი და 300 გრამი შარშანდელი 7 კილოგრამის ნაცვლად.

მოსავლის აღება-განაწილებასთან დაკავშირებით კოლმეურნეობას 29 წევრი შეემატა.

ბევრმა კოლმეურნემ მიაღწია შეძლებულ ცხოვრებას. აიშენა სახლი, იყიდა ძროხა, ღორი, საოჯახო ავეჯი და ტანსაცმელი. ესენი არიან **ილიკო და ვანო კურტანიძეები. ვალოდია ხუციშვილი, სევერიანე ნანეტაშვილი, ლენტო ლომსაძე, სერგო პაპიძე** და სხვები.

კოლმეურნეობამ განსაზოგადოებული პირუტყვისათვის გამოჰყო 2000 ფუთი თივა, 1500 ფუთი ბზე, 2200 კილოგრ. ჩალა და დაამზადა 10 ტონა სილოსი. აგებულია კოლმეურნეობის კანტორის შენობა და გაშენებულია ხეხილი 2 ჰექტარზე. კოლმეურნეობამ დაისახა ღონისძიებანი მომავალი წლიდან მეფუტკრეობის და მეცხვარეობის განვითარებისათვის.

გრ. ლომიძე.

□

პირუტყვი ნადირს შეაჭამეს

ლანჩხუთის რაიონის სოფ. ნიგვზიანის კოლმეურნეობის ფერმაში 15 სული ღორი და 50 გოჭი ითვლებოდა. მას შემდეგ, რაც აქ მწყემსად სამსონ ტოლუში დანიშნეს, ფერმა განადგურების გზას დაადგა. ტოლუშის უყურადღებობით 11 გოჭი ნადირმა შეჭამა.

კოლმეურნეობის გამგეობამ და მისმა თავმჯდომარემ ე. იფხაზავამაც მიიღო ამის ცნობა, მაგრამ დღემდე მაინც არავინ ცდილობს ზომების მიღებას. დამნაშავის პასუხისგებაში მიცემას და კოლმეურნეობისათვის ზარალის ანაზღაურებას.

მ. დოლიძე

□ □ □

ჩვენ გვწერენ

მასწავლებლებს ხელფასს უგვიანებენ

მიუხედავად მრავალი დადგენილებებისა მასწავლებელთა ხელფასის დროზე გაცემის შესახებ, ხობის რაიონში ჯერ-ჯერობით ძველებური მდგომარეობაა. არიან მასწავლებლები, რომლებსაც ივლისის და აგვისტოს ხელფასი არ მიუღიათ.

ახალ-ხიბულის არასრული საშუალო სკოლის მასწავლებლებს დ. დიამბრის, ვ. ჯიქიას, ტ. ლაშხიას, ო. ვეკუას და სხვებს ივლისის ხელფასი ჯერ მიღებული არა აქვთ. აღნიშნული თვეების ხელფასი არც საჯიჯაოს და ქარიატას სკოლებში დარიგებულა.

რაიფინგანისა და განსაკუთრებით კი რაიაღმასკომის თავმჯდომარის ბიუროკრატიული, გულცივი დამოკიდებულება — აი რა არის დავალიანების მიზეზი.

ხობის რაიონის ხელმძღვანელებმა დაუყოვნებლივ უნდა დაფარონ დავალიანება.

ნოე კუჭავა.

□

ჭიაბრიშვილი სკოლას ავიწროებს

საკლასო ოთახებში, რომელიმე სხვა დაწესებულების (მით უმეტეს კერძო მდგმურის ჩასახლება, რომ აკრძალულია, ეს დღეს საბჭოთა ყველა მუშაკმა უნდა იცოდეს. ამის შესახებ არსებობს ზემდგომი ორგანოების პირდაპირი და სრულიად გარკვეული დირექტივა ამის შესახებ გაზეთებშიაც ხშირად იწერება.

მაგრამ ამ დირექტივას სოფ. გიორგეწმინდის (საგარეჯოს რაიონი) სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე ჭიაბრიშვილი რატომღაც თავისთვის სავალდებულოდ არ თვლის.

საგარეჯოს რაიონის განათლების განყოფილების კანონიერ მოთხოვნას, რომ გიორგეწმინდის სასოფლო საბჭოს გაენთავისუფლებინა უკანონოდ დაკავებული საკლასო ოთახები, ჭიაბრიშვილმა ყურიც არ ათხოვა. ის დაჟინებით და ჯიუტურად იცავს თავის უკანონო მოქმედებას, არ ანთავისუფლებს საკლასო ოთახებს ამის გამო სოფ. გიორგეწმინდის სკოლის ორ მეხუთე კლასში მეცადინეობა ჩაშლილია. ჭიაბრიშვილი ამაზე არ სწუხს. ის თავს არხეინად გრძნობს. ალბათ იმიტომ, რომ მის სასოფლო საბჭოში შემავალი სკოლების მუშაობისათვის პასუხისმგებლობას არ გრძნობს.

ეს საგარეჯოს რაიაღმასკომმა უნდა გამოარკვიოს. ჭიაბრიშვილს თავის მოვალეობა უნდა შეაგნებინონ და სკოლასაც ნორმალური მუშაობის საშუალება უნდა მისცეს.

შ.

ფინანსური დისციპლინობის ნიმუში

ხულოს რაიონისათვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ვეტერინარულ მომსახურებას, ვინაიდან. ხულო უმთავრესად მეცხოველეობის რაიონია. საქართველოს მიწსახკომიც სამართლიანად მოიქცა, როცა გადასწყვიტა ხულოში ვეტპუნქტისათვის სანიმუშო შენობის აგება. მიწსახკომმა ხულოს ვეტპუნქტის მშენებლობა 50.000 მანეთით დააფინანსა. მშენებლობაც დაიწყო. ნელა შენდებოდა და შენდება ხულოს პუნქტი. ჩვენთვის ამის მიზეზი ცხადი გახდა მას შემდეგ. როცა ვიხილეთ ხულოს რაიაღმასკომის ფინგანის გამგის სკანიძის რეზოლუცია მიწგანის მიმართვაზე: „ვეტპუნქტის შენობის აგებისათვის მიღებული თანხიდან 10 ათასი მანეთი ჩავუშვით ბაზრის კეთილმოწყობისათვის. თანხას შემდეგ აღვადგენთ“.

ეს „ბრძანება“ დათარიღებულია 1935 წლის 11 ივლისით. სწორედ ამ დროს იქნა მიღებული 18.000 მანეთი და აქედან 10 ათასი, როგორც ვხედავთ, სხვა დანიშნულებაზეა დახარჯული.

ამის გამო პუნქტის მშენებლობა ჭიანურდება. დამნაშავეებს კი პასუხს არავინ სთხოვს.

ი. ჯანაშია

□

გასული წლის ანგარიში არ მიუღიათ

სამტრედიის რაიონის სოფელ გომის ცხაკაიას სახ. კოლმეურნეობაში 1934 წლის ფულადი და ნატურალური ანგარიში დღესაც გაუსწორებელია. თავმჯდომარე მ. გაბედავა ფული. უქონლობას იმიზეზებს. გაბედავას ძმებიჭებს კი კოლმეურნეობის ფული სალაროდან გააქვთ და უკან არ აბრუნებენ. გ. გაბედავამ, ვითომ ვალის დასაფარავად, რამდენიმე მუშა-ხარი გაყიდა. ამ ფულის ბედიც არავინ იცის.

გაბედავას კოლმეურნეების მოთხოვნის მიხედვით 1934 წლის შემოსავლების ანგარიში არ ჩაუბარებია. ეს იმიტომ, რომ დიდ ჩადარღნებს აქვს ადგილი ფინანსიურ მეურნეობაში.

შ. ჯინჭარაძე.

□ □ □

საქ. ცაკისა და სახკომსაბჭოს დადგენილება

სისხლის სამართლის კოდექსისათვის $103^{ა}$ და $103^{ბ}$ მუხლების დამატების შესახებ

აფეთქება-საშიშ წარმოებებში საწარმოო-ტექნიკური დისციპლინის და მუშაობის პირობების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის შესახებ გამოცემული სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წლის ივლისის 17-ის დადგენილების შესაბამისად — სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსს დაემატოს $103^{ა}$ და $103^{ბ}$ მუხლები შემდეგი შინაარსისა:

„$103^{ა}$. დარღვევა ტექნიკური რეჟიმისა, საწარმოო-ტექნიკური დისციპლინისა ან მუშაობის პირობებისა, რაც უზრუნველჰყოფს წარმოების უშიშროებას, და აგრეთვე თამბაქოს მოწევა, მთვრალად მისვლა ან ძილი წარმოებაში აფეთქება-საშიშ საამქროში, ისჯება თავისუფლების აღკვეთით სამ წლამდე.

იგივე მოქმედება, უკეთუ მან გამოიწვია აფეთქება ან ხანძარი, ისჯება თავისუფლების აღკვეთით არა ნაკლებ სამი წლისა“.

$103^{ბ}$. ტექნიკური რეჟიმის ან მუშაობის პირობების დარღვევა აფეთქება-საშიშ საამქროებში იმ პირის მიერ, ვინც პასუხისმგებელია დადგენილი საწარმოო-ტექნიკური დისციპლინისათვის, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ხუთ წლამდე.

იგივე მოქმედება, უკეთუ მან გამოიწვია აფეთქება ან ხანძარი, ისჯება თავისუფლების აღკვეთით არა ნაკლებ ხუთი წლისა“.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **თ. ელენტი**

1935 წ. ოქტომბრის 16
ქ. ტფილისი

ძველი და ახალი წყალტუბო

ნახატი ი. მამალაძისა



ეს იყო წინათ, რევოლუციამდე. ჩვენს მეზობლად ერთი შუახნის ახოთ-ამწყობი ცხოვრობდა. მას ახალგაზრდობა ბნელ და ნესტიან სტამბაში გაეტარებინა და ამიტომ ქარებისაგან დახუთული, წელში მოხრილი და მუდამ დაღვრემილი იყო.

ერთს ზაფხულს იგი სამკურნალოდ წყალტუბოს გაემგზავრა და იქ ერთ თვეს დაჰყო. რომ დაბრუნდა, ვეღარ ვიცანით. წელში გამართული, გაჯანსაღებული, თითქმის გაახალგაზრდავებული-ყო.

განცვიფრებული მეზობლები დაინტერესდნენ, რა ძალამ დაუბრუნა დაუძლურებულ ქალარა ახოთამწყობს ჯანმრთელობა და ხიცოცხლის ხალისი.

— ეს სულ წყალტუბოს თბილი წყლის ბრალია, — ღიმილით გვიყვებოდა ახოთამწყობი. პირველად რომ ნახავთ წყალტუბოს. არ დაიჯერებთ, თუ იქიდან ავადმყოფი ცოცხალი დაბრუნდება. საბანაო მიდამოები ალაგ-ალაგ ჭაობებით არის დაფარული. მზე, რომ დააჭერს, ჭაერში შმორის სუნი დგება, კოღოების წივილი და მწვავე კბენა არც დღე არც ღამე მოსვენებას არ აძლევს ადამიანს. ავადმყოფთა სადგომი ხის სახლები ნახევრად დამპალი და დაფუტუროებულია. ოთახების კედლებსა და ავეჯში ბაღლინჯოს დაუბუდნია, საბაზანოებს სინოტივისა და შლამისაგან ხავსი მოსდებია. როცა ამას ნახავ, რასაკვირველია განკურნების ყოველგვარი იმედი დაგეკარგება.

— მაგრამ, — განაგრძობდა იგი — საკმაოა სამჯერ იბანაო ამ ხავსმოდებულ აბაზანაში, რომ მთელი სხეულის განახლება იგრძნო. სამ კვირას დავრჩი იქ. და აი, ხომ ხედავთ, როგორი დავბრუნდი ეს სულ იმ თბილ წყალში ბანაობის ბრალია.

— წარმოგიდგენიათ, რა იქნება წყალტუბო, იგი რომ წესიერად მოაწყონ, იქ რომ ევროპული კურორტი გააშენონ? — შენიშნა ერთმა მსმენელთაგანმა.

— ღმერთმა ნუ მქნას ღმერთმა ნუ მქნას! — წამოიყვირა ახოთ-ამწყობმა.

ყველამ გაკვირვებით შევხედეთ. — მაშინ, ის ჩვენთვის როდიღა იქნება! ვინ მიუშვებს იქ ჩემისთანა საწყალ კაცს, და თუ მიუშვებენ, გაუძლებს კი ღატაკი კაცის ჯიბე ევროპული კურორტის ხარჯებს? არა, სჯობს, დარჩეს წყალტუბო ისეთად, როგორიც არის. იდირი გადაკეთდეს გამშვენიერებულ სამკურნალო ადგილად, კეთილმოწყობილ კურორტად მხოლოდ მდიდრებისათვის.

ახოთამწყობი არ ცდებოდა. მართლაც, ცარიზმის ან თუგინდ მენშევიკების დროს კიდეც რომ განხორციელებულიყო წყალტუბოს კეთილმოწყობის, ბალნეოლოგიურ სადგურად მისი გარდაქმნის პროექტი, მშრომელი ადამიანისათვის იგი მიუწვდომელი გახდებოდა, მასებისათვის დაიკარგებოდა.

მაგრამ დიდი ოქტომბრის წყალობით პარტიის გულმოდგინე მზრუნველობით, საბჭოთა მთავრობის ენერგიული ღონისძიებებით წყალტუბო გამოიცვალა, ერთ-ერთ კეთილმოწყობილ და საუკეთესო სამკურნალო კერად იქცა, მხოლოდ და მხოლოდ მშრომელთა ჯანმრთელობას ემსახურება.

რა გაკეთდა მიმდინარე წელს დიდ ბალნეოლოგიურ კურორტად წყალტუბოს გადაქცევისათვის?

შესწავლილია წყალტუბოს მინერალური წყლების ფიზიკურ-ქიმიური თვისებები, ამჟამად გრძელდება ჰიდროგეოლოგიური კვლევაძიება დებეტის გამოსარკვევად და წყაროების რაციონალური კაპტაჟის დასამუშავებლად. მიმდინარეობს მუშაობა მდ. წყალტუბოს ხარეგულაციოდ. მდინარის ორივე მხარის გაყვანილია არხი (სიგრძით 5,4 კილომეტრი), რომელთა კალაპოტი (თხ.ერი და კედლები) დაბეტონებულია. არხს გარშემო უვლის ლორლად გატკეპნილი გზატკეცილი; შენდება ჯებირი. რომელიც წლის დამლევს დამთავრდება. 2,6 კილომეტრის სიგრძეზე გაყვანილია კანალიზაციის შუა კოლექტორი, რომ მომსახურება გაუწიოს საბაზანო შენობებს, სანატორიუმებს, პოლიკლინიკას, და სხვა ნაგებობებს. წლის დამლევამდე დასრულდება დროებითი წყალსადენის გაყვანა. აშენდა ახალი სატრანსფორმატორო ქვესადგური, რომელიც წინანდელი 50 კილოვატის ნაცვლად იძლევა 250 კილოვატს. წინათ არსებულ საბაზანოებს მიემატა ახალი საბაზანო № 7, რომელიც მინერალურ წყალს ღებულობს ადიავალი დენით (სხვა აბაზანები პირდაპირ წყაროების კერაზე არიან აგებულნი) და რომელიც ისეა მოწყობილი, რომ უზრუნველჰყოფს ტემპერატურის დაცვას და გაზების [illegible]. დამთავრდა ორი ახალი (ერთი 44 და მეორე 86 ოთახიანი) სახლის აგება. კაპიტალურად შეკეთდა პირველი სანატორიუმი, პოლიკლინიკა, საბაზანოები, არაორგანიზებულ ავადმყოფთა საცხოვრებელი შენობები, მუშა-მოსამსახურეთა ბინები; საფუძვლიანად გადაკეთდა და კეთილმოეწყო სარეცხაო, ამუშავდა პატარა საყინულე ქარხანა (ყოველდღიურად ამზადებს ერთ ტონა ყინულს) და ახლა მიმდინარეობს დიდი საცივარის მონტაჟება.

მუდამ მწვანე ხეებით და ყვავილნარებით მოხავერდებულ პარკში მოეწყო სანიმუშო რესტორანი და დიდი ფანჩატური საზაფხულო კინო-სეანსებისათვის, ეწყობა დიდი ბიბლიოთეკა - სამკითხველო და შენდება სხვადასხვა ნაგებობა კულტურული დასვენებისა და გართობისათვის.

ამას უნდა დავუმატოთ კიდევ ის, რომ უკვე დასრულდა რკინიგზის შტოს გაყვანა წყალტუბომდე და იგი საექსპლოატაციოდ გადაეცა ა.-კ. რკინიგზის სამმართველოს. ეს არა მარტო გააადვილებს წყალტუბოში მიმოსვლას, არამედ საგრძნობლად გაიაფებს და დააჩქარებს ამ შესანიშნავ კურორტის მშენებლობას.

ვ. ბ—ლი.

□ □ □ □ □

ოქტომბრის ზეიმის წინ

**ექსკურსიების მოწყობა.** ოქტომბრის რევოლუციის მე-18 წლისთავის დღეებში, პროლეტარული ტურიზმისა და ექსკურსიების საზოგადოება აწყობს მუშა-მოსამსახურეთა შორეულ ჯგუფურ ექსკურსიებს. ჯგუფები მიჰყავთ საექსკურსიოდ — ბაქოში, ერევანში, ბათომში და სხვა ქალაქებში.

პროფესიულ ორგანიზაციებს დავალებული აქვთ სამ ნოემბრამდე წარმოადგინონ საექსკურსიო ჯგუფებში შემავალთა სია. გარდა ამისა გადაწყვეტილია ადგილობრივი ექსკურსიების ჩატარებაც (მუზეუმები, ქალაქის განაპირა უბნები, ძეგლები და სხ.).

**მიღწევათა გამოფენები.** საქართველოს პროფსაბჭომ წინადადება მისცა მუშათა კლუბებს, დაუყოვნებლივ შეუდგნენ მიღწევათა გამოფენების მოწყობას. გამოფენები უნდა გაიხსნან 6 ნოემბერს.

ანტიური ქანდაკებანი ბათომის ბულვარში

საოქტომბრო ბაზრობა

ზუგდიდი

28 ოქტომბერს გაიხსნება ზუგდიდში სარაიონთაშორისო საოქტომბრო ბაზრობა. ბაზრობაზე მონაწილეობას მიიღებენ წალენჯიხის, ჩხოროწყუს, გალის და ხობის რაიონები. ვაჭრობა იწარმოებს საკოლმეურნეო ბაზრის მოედანზე. სწრაფი ტემპით მიმდინარეობს არსებული საკოლმეურნეო ბაზრის რეკონსტრუქცია. ბაზარზე ეწყობა სასადილო, საჩაიე, პროდუქტების შესანახი პუნქტი. მიმდინარეობს მაღაზიების და თაროების მხატვრული გაფორმება. ბაზრობაზე ჩამოსული კოლმეურნეები და ინდ. მეურნეები უზრუნველყოფილი იქნებიან კულტურულ მომსახურეობით.

ბაზრობაზე გამოიტანენ 1 მილიონი მანეთის სამრეწველო საქონელს (საკ. კორ.).

პ. ფრანგიშვილი

□ (რესპუბლიკის დამსახ. არტისტი.)

ჭიათურის მუშათა თეატრის სეზონი

ჭიათურის მუშათა თეატრის 1935 - 36 წ. სეზონის რეპერტუარი დამყარებულია საბჭოთა პიესებზე.

სეზონი გაიხსნება ხვალ 29 ოქტომბერს ი. ვაკელის „შამილით“, პიესის გასცენურება მე მხვდა წილად. რეპერტუარში შედის და უკვე მზად გვექვს კორნეიჩუკის „პლატონ კრეჩეტ“, მზადების პროცესშია ახალგაზრდა დრამატურგ გ. დარისპანაშვილის „არინა“ და დამწყებ დრამატურგ ქ. გაბუნიას „არსენა“.

სეზონის მეორე ნახევარში წავა ჯანანის „შაჰნამე“, მაშაშვილის „განგაში“, გ. ბააზოვის „განურჩევლად პირობებისა“ და გაბესკირიას „ურთა“.

სეზონის განმავლობაში განახლდება სამსონიძის „სალტე“, შვარკინის „ნაბიჭვარი“, დარისპანაშვილის „ხიდ-ვეშ“, შექსპირის „ოტელო“, ნინოშვილის „ქრისტინე“, ა. ქორდანის „ლამგარი“, ლავრენიევის „რღვევა“.

მნიშვნელოვან ამოცანად ვისახავთ ახალი კადრების აღზრდას.

ამ მიზნით მოვიწვიეთ რესპ. სახალხო არტისტი ალ. იმედაშვილი, რომლის უშუალო დახმარებით 1934 - 35 წლის სეზონში გავიბედეთ და დავდგით შექსპირის „ოტელო“ წელს კი მისივე მონაწილეობით ვდგამთ სოფოკლეს „ოიდიპოს მეფეს“.

ადგილობრივი ორგანიზაციების დახმარებით თეატრის შენობა შევაკეთეთ და გავაფართოვეთ.

დასი შევსებულ იქნა ამავე თეატრიდან სხვადასხვა დროს წასულ საუკეთესო ძალებით. ჩამოყალიბდა რეჟისორთა კოლეგია.

მუშა მაყურებლის ორგანიზებულად მომსახურეობის მიზნით, თეატრში ორი წელია შემოღებულია მუდმივი ბილეთები და სააბონენტო სისტემა.

მიმდინარე წელს მაღაროსთან არსებულ კლუბებში დადგმების და წარმოდგენების რიცხვს გავადიდებთ. ასევე გაძლიერებული მომსახურეობა გაეწევა კოლმეურნეობებს.

თეატრი ყოველ წლიურად აწყობს გასტროლებს სხვადასხვა ქალაქებში.

მომავალ წელს თეატრი ფიქრობს გაემგზავროს ტფილისში და ქუთაისში.

გადაწყვეტილია მოვაწყოთ შეჯიბრება რუსთაველის და მარჯანიშვილის თეატრებთან და საქართველოს დრამატურგებთან.

პარტიის და ხელისუფლების უდიდესი ყურადღება გვავალებს გაცხოველებული ენთუზიაზმით ჩავატაროთ 1935 - 36 წ. სეზონი, ჩვენ ამას შევასრულებთ.

წელს ვიდღესასწაულებთ ჩვენი თეატრის არსებობის 10 წლის თავს, ამ დღისათვის თეატრი ამზადებს საგანგებოდ შერჩეულ პიესას.

დიდის ხალისით და მონდომებით შევუდექით 1935—36 წ. სეზონს. ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ ჩვენი თეატრის თითოეული მუშაკი გაამართლებს მასზე დამყარებულ იმედს.

□ □

ვაჟა-ფშაველას საღამო

24 ოქტომბერს ქ. ჯულელში გაიმართა ვაჟა-ფშაველას გარდაცვალებიდან 20 წლისთავის აღსანიშნავი საღამო. ვაჟა-ფშაველას შემოქმედების შესახებ მოხსენებით გამოვიდა ამხ. ქ. მელაძე. ვაჟასადმი მიძღვნილი ლექსები წაიკითხეს გ. [illegible], კუშელავამ და ილ. ხოშტარიამ. საღამოზე წაკითხულ იქნა აგრეთვე ვაჟას რჩეული ლექსები (საკ. კორ.).

○

— დღეს, ნაშუადღევის 4 საათზე ამხ. ბერიას სახელობის ვაგონების შემკეთებელ ქარხანაში გაიმართება ვაჟა-ფშაველას გარდაცვალებიდან 20 წლისთავის აღსანიშნავი საღამო. ვაჟას შემოქმედების შესახებ მოხსენებას გააკეთებს ამხ. ზიხ. ჭელენტი. საღამოში მონაწილეობენ პოეტები: ვალ. გაფრინდაშვილი, ალ. გომიაშვილი, ილო მოსაშვილი, გ. ლეონიძე და ირ. აბაშიძე.

□

კინო

საქ. სახკინმრეწვის ახალი ფილმები.

საქართველოს სახკინმრეწვი სდგამს მთელ რიგ ახალ ფილმებს.

სწარმოებს გადაღებები აეროდრომზე კინოფილმის — „ფრთოსანი მეგობარისათვის“ (რეჟისორი ესაკია). ამავე დროს მიმდინარეობს პავილიონური გადაღებებიც.

ნატურალური გადაღებებისათვის ქობულეთის რაიონში გაემგზავრა სახკინმრეწვის კინოექსპედიცია რეჟისორ შენგელაიას მეთაურობით, რომელიც სდგამს ახალ სურათს „ნარინჯის ველი“ (ციტრუსების ველი).

ფართოდ გაიშალა მუშაობა კინოფილმის „ქაჯეთის“ დასადგმელად. ტფილისსა და მის განაპირა უბნებში სწარმოებს გადაღებები სურათისათვის ცხენოსანი ნაწილების მონაწილეობით. „ქაჯეთს“ სდგამს რეჟისორი მიქაბერიძე.

შემთხვევები

● **ჩხუბი.** მელაანის ქუჩაზე (ნავთლუღი) № 37 მცხოვრებმა მდგმურებმა ხ. [illegible] მინასიანმა და ლ. მ. მიქოიანცმა ატეხეს ჩხუბი. ჩხუბის დროს მინასიანმა და მიქოიანცმა ერთმანეთი დასჭრეს დანით. ჩხუბში ჩაერივნენ მიქოიანცის დედა და ძმა, რომლებიც დაიჭრნენ. დაჭრილები საავადმყოფოში მოათავსეს.

● **ავტომობილის დაჯახება.** პლეხანოვის პროსპექტის და მუშტაიდის ქუჩის კუთხეში მსუბუქი ავტომანქანა № 68 (შოფერი ა. მ. მარტიროსოვი), დაეჯახა სატვირთო ავტომანქანას № 15—57. დაჯახებისას მსუბუქი მანქანა მნიშვნელოვნად დაზიანდა. მარტიროსოვი შეიპყრეს.

● **მოჩხუბრების დაპატიმრება.** ნორჩზრდილთა მე-2 საშუალო სკოლაში ჩხუბისა და მოწაფეთა ცემისათვის შეიპყრეს ა. ი. ბოჭორიძე (ყიზლარის ქ. 1), [illegible] რომელაშვილი (კრამიტის ქ. 17) და ვ. [illegible] დონჯაძე (იურიევის ქ. 34). დაპატიმრებულები პასუხისგებაში მისცეს.

□

პარტკალენდარი

— საქ. კ.პ. (ბ) ტფილისის კომიტეტი წინადადებას აძლევს ამხ. ბ. მათიაშვილს, ტ. ფუხიაშვილს, ა. მონასელიძეს, ე. მასურაძეს, რ. ტერ-აკოფოვს, მ. ოსიპოვს, მ. ბაღდასარიანს, ი. ნაცვლიშვილს, ნ. [illegible]გემლიძეს, გ. გაბრიაძეს და ა.-კ. [illegible] გამოცხადდნენ ა.-წ. 29 ოქტომბერს შუადღის სრულ 12 საათზე საქ. კ.პ. (ბ) ტფილისის კომიტეტში (რუსთაველის პროსპექტი 23. მეორე სართული, ოთახი № 34) ამხ. ჩერქეზიასთან.

— 29 ოქტომბერს, საღამოს 7 საათზე საქ. კ. პ. (ბ) ტფილისის ორჯონიკიძის რაიკომის პარკაბინეტში გაიმართება კონსულტაცია გეოგრაფიულ რუკაზე მუშაობის შესახებ.

კონსულტაციას ჩაატარებს ამხ. ათაბეგოვი.

დღეს მე-3 აბონემენტის მე-2 წარმოდგენა	29 ოქტ. მე-3 აბონემენტ. მე 2 წარმოდგენა	30 ოქტ. მე 8 აბონემენტ. მე 2 წარმოდგენა
რიგოლეტო 3 გრიმქოს [illegible]	**აიდა** მონაწილეობენ: ე. იურიანი, ვ. შ [illegible] დოლიძე და ან. [illegible]	**ჩიო-ჩიო-სან** [illegible]

წარმოდგენის დასაწყისი საღამოს სრულ 8 საათზე. ბილეთების და აბონემენტების გაყიდვა, აგრეთვე გადასახდელის მიღება სტარ... ყოველდღიურად დილით 11-დან 2 საათამდე, საღამოს 6 დან 9 საათამდე მიიღება მეხამე მორიგი გადასახდელი ყველა აბონემენტზე

[illegible] 6-30 8-30 10-30

ჩაპაევი, სახ. ახალი 6-30 8. 9-30

[illegible] 4-30. 10-30

რ. ლუქსემბურგის სახ. 6-30. 9-30. 11

7-30. 9. 10-30

[illegible] 4-30. 10

კომინტერნი სახ. 7-30. 9-30

ხმოვანი ფილმი უჩასახელი მახარაძე დადგმა ორგანიზაცია რეჟისორის მ. ჭიაურელისა

სახ.თ. — ხმოვ. სურ. თი ხ. უჩასახ. [illegible]
საბაღ.ბ — ხატ. სურ. თი ზოგიერთი ნაცნობი

დადგმის ძი 2 თვე [illegible] სურათი ჯეტო კეტერი

ახალი ხმოვანი ფილმი
მცირე [illegible] ... ახალი

მხატვ. ფილმი ალიმი

საბა თ. — ხმოვ. ფილმი ვეგო
საბაღ. — ხატ. სურ. მდ. ნარის გალეა

ხმოვანი ფილმი „ჩაპაევი“

მარჯანიშვილის თეატრი

28 ოქტომბერს წარმოდგენა № 5	ჩატეხილი ხიდი
29 ოქტომბერს წარმოდგენა № 6	ვერაგობა და სიყვარული
30 ოქტომბერს წარმოდგენა № 7	ვერაგობა და სიყვარული

დასაწყისი საღ. 8 საათზე
ბილეთები თეატრის სალაროში დილის 11—2 საათ. საღ. 6—9 საათ.
ბავშვები და მოზარდები 17 წლ.-მდე არ დაიშვებიან

29 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზე, ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (აუდ. № 151), შესდგება ლიტერატურული ფაკულტეტის საჯარო სხდომა, რომელზედაც
გრიგოლ ხავთასი
დაიცავს მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილ დისერტაციას. დისერტაციის თემაა:
გოეთე და რევოლუცია
ოფიციალურ ოპონენტებად დანიშნულნი არიან: პროფ. შ. ნუცუბიძე და პროფ. გრ. ნათაძე. № 410

დღეს 1 ლი აბონ. 1 წარ. ფ. შილერი	29 ოქტომბერს მე 2 აბონ. წარ. [illegible]	30 ოქტომბერს მე 5 აბონ. 1 წარ. 8 [illegible]
ვ. ტირანი	ნაზიმვარი	ნაზიმვარი

[illegible] დასაწყისი 8 საათზე

გაიხსნა განსაკუთრების კურსები
უმაღლეს სასწავლებელში შესვლელთა მოსამზადებლად
სდგება ჯგუფი ინდუსტრიულისათვის
საბჭოს ქ. № 85 და 100
29 და 30 ამ. შუადღის საღ. 5—8 ს.
2—1 10010

გაიხსნა
უმაღლეს სასწავლებლებში „შესვლელთა საკონკურსო გამოცდებისათვის
მოსამზადებელი კურსები
განცხადების მიღება. სწავლა დაიწყება 1-ლ ნოემბერს. განცხადების მიღება 29 ნოემბრამდე საღ 6 ს., ლ ნინოს ქ 51 მე-2 რკ გზ სკოლის შენობაში.
9995

არტელ „ბარის“ ლიკვიდატორის 30 ოქტომბერს დანიშნული აქვს
საჯარო ვაჭრობა
გაიყიდება არტელის საკირე ქარხანა [illegible] წყალზე
შეფასებულია 42000 მანეთად. ლიკვიდატორი
11014

ლეო ჩაჩანიძე, დ. დარჯანია, მიშა წიკლაური, გივი ციციშვილი და ალიოშა ადუაშვილი აუწყებენ საზოგადოებას უახლოესი მეგობრის ირაკლის მამის
პოეტ ვარლამ რუხაძის
გარდაცვალებას. 11044

უახლოესი ამხ. ბერია, ელიავა, [illegible], მეგრელიშვილი, მიმინოშვილი, გოგორიძე, ასათიანი, ღვინიაშვილი, რამიშვილი, უზნაძე, ლორთქიფანიძე, სარაჯიძე თანაგრძნობას უცხადებენ ამხ. ფილოლოგ ნოდარის შვილის
ჟუდუნას
უდროოდ გარდაცვალების გამო. 11045

მეგობრები: ზინა ხუროშვილი, მერი ციციშვილი, ნადია სოლოღაშვილი, თამარ ჯავახიშვილი, ნინუცა ბაგრატიონი, ტატიანა ჰოპეშვილი, ვახტანგ სიდამონიძე, ანდრო ჯავახიშვილი იუწყებიან ვალის მამის
გრიგოლ ანდრიას-ძე აპანოვის
გარდაცვალებას. 11039

ღრმად მწუხარებაში მყოფნი: შინშველი, სოფო იოსების ასული, ლილით და შვილებით დაკიოთი და ციალათი, სიძედრი სოფიო ქარცივაძე იუწყებიან ძვირფასი
გრიგოლ ანდრიას-ძე ივანიძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა ბათომში დღეს. 11028

სტუდენტები: ჩოლოყაშვილი, ფოჯაძე, [illegible]შვილი, ოსიძე, ვარშანიძე, ძნელაძე, ჭილაია, სოხაძე, ვართაგავა, [illegible], შომიაშვილი, გოგიბერიძე, ნიკოლაიშვილი, მახარაძე, ჭელიძე, როგავა, მაჭარაძე, შენიძე, ლორია, სინელია [illegible]შვილი იუწყებიან
გრიგოლ ანდრიას-ძე ივანიძის
გარდაცვალებას. 11033

დამწუხრებული დედა ირინე, ლეოლი, ძმები ნადე, მარიამი იუწყებიან, რომ 30 ოქტომბერს 1 საათზე ჰეტრე-პავლეს სასაფლაოზე დაიკრძალება სამოქალაქო პანაშვიდი
ილია სიმონის-ძე შონიას
ჭორონის ასანიშნავად. 11034

მწუხარებაში მყოფნი მისი და ნინო გულდედავები (ოლშევისით) აუწყებენ საზოგადოებას ძვირფასი სიძის
ვასილ პავლეს-ძე ლეჟავას
უდროოდ გარდაცვალებას. დასაფლავება 29 ოქტომბერს, 5 ს. ტრამვაის შესახვევი, 12. 11035

სტეფანე იოსების ძე მარგველაშვილი მეუღლე მარიამი და შვილებით მწუხარებით იუწყება სტომატოლოგიური პოლიკლინიკის თანამშრომლის
სერგო ლევანის-ძე ადამიას
გარდაცვალებას.

მე-2 სტომატოლოგიური პოლიკლინიკის თანამშრომლები იუწყებიან ამავე პოლიკლინიკის კბილის ტექნიკის
სერგეი ლევანის-ძე ადამიას
უდროოდ გარდაცვალებას. 9992

ვარლამ კაკუჩაია მეუღლით ოლიათი შვილებით—ოლგათი და ლამარათი იუწყება ძმის
ბაგრატ ალექსის-ძე კაკუჩაიას
უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა 29 ოქტომბერს, 5 ს. (აფხაზეთი, 1, დრანდა). 11048

ბიძები: ვალოდია, ჭიშა; ბიცოლა ვარვარა; ნოდიები: სიმე იოსების ცოლშვილით: ნინო, ანიკო, თემური იუწყებიან საყვარელი
ჟუდუნა ნოდიას
დაკარგვას. გამოსვენება 29 ოქტომბერს, 5 ს. ლენინის ქ. 46. 11047

მშობლები: ელიზბა, გიორგი; ძმები: დავითი, ემელიანე; დები: ტატიანა, დინა იუწყებიან სახელმწიფო უნივერსიტეტის მე-2 კურსის სტუდენტის
ალექსანდრე მიქელაძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდა 27 ოქტომბერს ს. ცაიშში. 11036

ნინიკო, შურა, დათიკო, თამარ, ტიტიკო და გივი ნოცუბიძეები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ საყვარელი სიძის და ძმის
პოეტ ვარლამ რუხაძის
უდროოდ გარდაცვალების გამო. 11038

ამხ. ფილ. მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობა და წევრები მწუხარებას გამოთქვამენ ვარლამ ქაჯაიას მამის
ივნატე ქაჯაიას
გარდაცვალების გამო. დაკრძალვა სოფ. ოზოლოეთში. 11017

ლუკაიას გიორგის-ძე, ანიკო, რუსუდან ხარაძეები, ნინო ქავთარაძე, მაშიკო ანთაძე იუწყებიან დაუვიწყარი ძმის, ბიძისა და სიძის
სიმონ გიორგის-ძე ხარაძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 29 ოქტომბერს ს. ფარცხნალში. 11043

მეუღლე ლეონინა, შვილები: გიორგი, პეტრე ცოლშვილით, პავლე, ელიკო, ნინო იუწყებიან საყვარელი მეუღლის და მამის
ალექსანდრე როსტომის-ძე
თაბაგარის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 29 ოქტომბერს ს. შროშაში. 11040

დამწუხრებული მეუღლე ეკატერინე, შვილები: ირაკლი, ნესტორი; რძლები: ნინო, ფატი და შვილიშვილები იუწყებიან
სპირიდონ გიორგის-ძე ჭაბილაიას
გარდაცვალებას. დაკრძალვა 29 ოქტომბერს ს. ნოღოში (აბაშის რაიონი). 11037

სტამბა „კომუნისტი“ ქომს ქ. № 68

მთავლიტის რწმუნებული ბ. 10103.